# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 22 აგვისტო 2007 №193 (3116) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დრო იყო, თბილისში ყველაზე ცნობილი ლუქსემბურგი როზა იყო

## გუშინ კალათბურთში ვაჯობეთ, დღეს ფეხბურთია

## ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრე

21 აგვისტო

### ლუქსემბურგი 60:88 საქართველო

8:26 18:24 21:19 13:19

ლუქსემბურგი: შუმახერი (14), მელხიორი (7), მ. რანიაკი (19), პ. რანიაკი (4), ჯონსი (4); დელგადო (4), პიკარდი (4), პ. ჰოფმანი (2), შმიტცი (2), ფ. ჰოფმანი, ვეისენი

საქართველო: ცინცაძე (8), ელისი (10 ქულა, 4 ჩაჭრა), მ. მარკოიშვილი (16), სანიკიძე (4 ქულა, 6 მოხსნა), ფაჩულია (16); ნაცვლიშვილი (14), გამყრელიძე (10), ტულუში (3), შერმადინი (5), უგრეხელიძე (2), ბაბიაშვილი, ა. ბოისა

წარმატებული გამოდგა კენ შილდსის ოფიციალური დებიუტი მთავარი მწვრთნელის რანგში. კანადელი სპეციალისტის დამოძღვრილმა ქართველებმა ევროსაკვალიფიკაციო ჯგუფის მეორე წრე გამარჯვებით დაიწყეს — ლუქსემბურგში მასპინძლები 28 ქულით დაამარცხეს.

მავანს შეიძლება მეტი მოეთხოვა ქართველებისგან, ჯუჯებთან უფრო დამაჯერებლად უნდა მოგვეგოთო, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ჩაგდებული ქულები არაფერს წყვეტს. ლუქსემბურგი ჩვენი ჯგუფის აუტსაიდერია და მასთან ჩაგდებულ-მიღებული ბურთები ანგარიშში არ მიიღება. ასე რომ, ბენილუქსელებთან უბრალო გამარჯვება იყო საჭირო და კენ შილდსის გუნდმა ამას იოლად მიაღწია.

ქართველებმა პირველივე მეოთხედში ჩაუქრეს მეტოქეს იმედის ნაპერწკალი, როცა ათწუთეული 26:8 მოიგეს. პირველი ტაიმის შემდეგ კი უპირატესობა 24 ქულამდე გაიზარდა და შილდსმაც დარჩენილი დრო სათადარიგო მონახაზებისა თუ ტაქტიკის გამოცდასრულყოფისთვის გამოიყენა.

ვერაფერი გააწყო ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ საგანგებოდ მიწვეულმა ალვინ ჯონსმა, რომელმაც თამაშის დაწყებისთანავე მიიღო სამი პერსონალური, ამდენივე ბურთი დაკარგა და მწვრთნელმა მოედნიდან რომ გაიყვანა, უკან აღარც დაუბრუნებია.

შილდსმა ნაკრების ბირთვს თითქმის თანაბრად გაუნაწილა სათამაშო დრო. ქართველებმაც გუნდურად ითამაშეს — გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლიათ და ერთბაშად ხუთმა მოთამაშემ უწია ათქულიან ზღვარს.

16-16 ქულით ბომბარდირობა ფაჩულია-მარკოიშვილმა გაიყვეს, მათ შემდეგ კი კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილია, ვინც სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში, მოედანზე 21 წუთი დაჰყო და 14 ქულას 5 მოხსნაც მიაყოლა.

ფარზე საუკეთესო კი ვიქტორ სანიკიძე გახლდათ, რომელმაც თამაში ძირითადში დაიწყო და 22 წუთში 6 მოხსნასთან ერთად 4 ქულაც გააკეთა.

კენ შილდსი: პირველ რიგში, მსურს ნაკრების ყველა მოთამაშესა და სამწვრთნელო შტაბს მადლობა გადავუხადო. საერთო ჯამში, კარგი მატჩი გამოგვივიდა, თუმცა ვაცნობიერებთ, რომ წინ გაცილებით რთული შეხვედრები გველის, სადაც კიდევ უფრო უკეთ უნდა ვითამაშოთ დაცვაში. ავსტრიის, ისლანდიისა და ფინეთის წინააღმდეგ საუკეთესო კონდიციებში უნდა ვიყოთ.

დავით უსტიაშვილი (შილდსის ასისტენტი): კარგად დავიწყეთ და პირველივე მეოთხედის მერე სოლიდურად დავწინაურდით. მერე და მერე უპირატესობა კიდევ უფრო გავზარდეთ და შეხვედრა ჩვენთვის სასურველ შედეგამდე მივიყვანეთ. ყველა მოთამაშეს მიეცა მოედანზე გასვლის საშუალება. ვიცით, რომ წინ ძნელი მატჩები გველის და კონცენტრაციის დაკარგვის უფლება არ გვაქვს. ავსტრია, ისლანდია და ფინეთი ლუქსემბურგზე ბევრად მეტ პრობლემას შეგვიქმნიან...

საქართველოს ნაკრები დღეს დაბრუნდება თბილისში და ავსტრიასთან 25 აგვისტოს გასამართი მატჩისთვის მოემზადება.

**ირაკლი ბერტაია**



კრისტიან ვეისენი და ვახტანგ ნაცვლიშვილი

**ავსტრია 63:87 ფინეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 5 | 5 | 0 | +136 | 10 |
| საქართველო | 5 | 4 | 1 | +80 | 9 |
| ავსტრია | 5 | 2 | 3 | -43 | 7 |
| ისლანდია | 4 | 1 | 3 | -21 | 5 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 5 | -152 | 5 |

### ვიწყებთ პოლონეთში, მივდივართ ლუქსემბურგში

შუადღით პოლონეთი, საღამოს ლუქსემბურგი — დღეს საქართველოს ორი ნაკრები თამაშობს და მოკლედ რომ ვთქვათ, საფეხბურთო დღეა. ჯერ პეტარ სეგრტის გაწვრთნილი 21-წლამდელთა ნაკრები შეხვდება პოლონელ თანატოლებს და ვინძლო, პირველი ქულა, ან, ღმერთმა ქნას, ქულები აილოს ევრო-2009-ის შესარჩევ ციკლში — ჩვენებმა ჯერ ერთი მატჩი ჩაატარეს და ესპანეთთან შინ 0:1 წააგეს. იმ თამაშის მიხედვით, სეგრტის ბიჭების იმედი კი გვაქვს, მაგრამ ნაკრებს ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლია და...

ლუქსემბურგში კი ამხანაგური მატჩია — საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ერთ-ერთ მაჩანჩალას მოუსინჯავს კბილებს. კლაუს ტოპმიოლერმა გუშინ ავარჯიშა გუნდი, ოღონდ დანაკლისს ლუქსემბურგში ჩასვლისასაც ვერ ასცდა — გიორგი დემეტრაძეს მცირე ტრავმა აწუხებს და ვარჯიშზე მაყურებლის როლში იყო.

ქართველთა ჩასვლას პატარა ლუქსემბურგში აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, ის კი არა, ტოპმიოლერის პრესკონფერენციაზე მხოლოდ ოთხი ჟურნალისტი მივიდა და ორადორი შეკითხვა დაუსვეს გერმანელ მწვრთნელს. ჰერ კლაუსმაც შესარჩევ ჯგუფში შექმნილ ვითარებასა და დარჩენილი ოთხი ოფიციალური მატჩის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გუშინვე ჩვენი ფეხბურთელები ლუქსემბურგ — საქართველოს კალათბურთელთა მატჩს დაესწრნენ და გამარჯვებაც მიულოცეს კოლეგებს.

# იქნება ტიეროვნული რეკორდი?



## ვინ არის შენი ამხანაგი: ინგლისი – გერმანია

დღეს ტრნავაში შესაძლოა, უეფას პრეზიდენტი დაამხონ! დიახ, მიშელ პლატინი დიდი საშიშროების წინაშე დგას, მას მწვერვალიდან ჩამოგდებას ტიერი ანრი უპირებს — „ბარსელონას" დიდი ფორვარდისთვის კი ეს სრულიად ხელმისაწვდომია, საკმარისია, სლოვაკთა და ფრანგთა ამხანაგურ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანოს, რომ პლატინის სანაკრებო რეკორდი, 41 გოლი „ლურჯების" შემადგენლობაში, დაემხობა.

„არ ვიცრუებ, ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება — ისეთი ვარსკვლავის რეკორდის დამხობა, მიშელ პლატინი რომ იყო... ხომ გახსოვთ, რა გააკეთა პლატინიმ ფრანგული ფეხბურთისთვის" — გულწრფელად განაცხადა ანრიმ.

მაგრამ, სლოვაკთა და ფრანგთა დაპირისპირება დღევანდელი პროგრამის „მთავარი ნომერი" სულაც არ გახლავთ, მთავარი ინგლისისა და გერმანიის მატჩია. ეს თამაში „უემბლიზე" გაიმართება და ბევრ საინტერესოს გვპირდება, თუმცა ერთიცაა, როგორც ინგლისს, ასევე გერმანიას ბევრი ტრავმირებული ჰყავს და გუნდები საუკეთესო შემადგენლობებით ვერ ითამაშებენ. გერმანელთა მწვრთნელ იოახიმ ლიოვს ისიც კი დაუთვლია, რომ მთელი ბუნდესლიგის მასშტაბით მისი თანამემამულე 60 ფეხბურთელია დაშავებული.

ოცდაათამდე ამხანაგური დაპირისპირების გარდა, დღეს ექვსი ოფიციალური მატჩიც გაიმართება — სავარაუდოდ, ბელგიელთა და სერბთა მატჩი უნდა იყოს დაძაბული, ჩვენს მეზობლად, სომხეთს კი კრიშტიანუ რონალდუ და დანარჩენი პორტუგალია სტუმრობს.

# გილოცავთ! თქვენთვისაც მოგველოცოს!



უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ზაკარპატიემ" 2:0 რომ მოუგო „ჩერნომორეცს", გამარჯვებულთაგან ოთარ მარცვალაძემ გაიტანა ერთი გოლი, კახა ალადაშვილმა კი ბოლო წუთებზე ნიშნის ჯილდო მიიღო. ალადაშვილმა სულაც პირველად ითამაშა „ზაკარპატიეში" — უკეთეს გუნდში აპირებდა გადასვლას, მაგრამ ვერ მოახერხა...

## ალადაშვილს ნიშნის მოგების შანსი არ მიეცა

### ალბათ მეც გავივლი მოსკოვის ქუჩებში

— „ზაკარპატიეში" წლის ბოლომდე განათხოვრებით ვითამაშებ, მერე კიევის „დინამოს" დავუბრუნდები და კიეველები ალბათ ისევ გამანათხოვრებენ ან გამყიდიან, რაც ჩემთვის უკეთესი ვარიანტია. ყოველ შემთხვევაში, „ზაკარპატიე" ნაღდად არაა ის გუნდი, აქ დიდხანს გავჩერდე. ეგაა, სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდება.

— „მოსკვაში" ისინჯებოდი და წამოხვედი. რატომ?

— „მოსკვაში" თვენახევრის წინ უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ რუსეთის ვიზა დროულად ვერ ავიღე. როცა ჩავედი, რუსეთში უკვე მეორე წრე იწყებოდა და მსუბუქი ვარჯიშებიღა ჰქონდათ. ისე გამოვიდა, რომ ვერ გამსინჯეს: აბა, 90 წუთი თამაშში თუ არ გნახეს, ისე ვინ აგიყვანს გუნდში...

— წლის ბოლოს უკრაინის სხვა გუნდში გადახვალ თუ რუსული ვარიანტებიც გაქვს?

— რუსეთში მირჩევნია, იქ უფრო მაღალი დონეა. ჩემს მენეჯერს „მოსკვას" წარმომადგენლებმა უთხრეს, ზამთარში ველოდებით ალადაშვილსო.

— ეს კარგი, მაგრამ „ჩერნომორეცთან" მატჩში რატომ გაგაძევეს?

— მეორე ყვითელი ბოლო წუთზე მივიღე უხეშობისთვის, ათიდან რვა მსაჯი ამ დროს არ გამაძევებდა, მაგრამ ასე მოხდა. არადა, შემდეგ ტურში „დნიპროს" ვხვდებით და ძალიან მინდოდა ჩემი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაში.

ილია ნანობაშვილი



## დემეტრაძემ იტრავმიანა, ტოპმიოლერს კი ჟურნალისტები „დაესივნენ"

ერთი ბეწო ქვეყანა თავისი უსუსტესი საფეხბურთო ნაკრებით: აბა, რა დიდი ინტერესი უნდა ჰქონდეთ ლუქსემბურგელებს ამხანაგური მატჩისადმი, როცა ოფიციალურებზეც კი კანტიკუნტად დადიან სტადიონზე. ლუქსემბურგი და ლიხტენშტაინი ის ნაკრებებია, რომლებსაც გერმანია ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატების წინ „დაიჭერს" ხოლმე და დიდი ანგარიშით უგებს, რათა დიდ ტურნირს ხასიათმოკეთებული შეხვდეს.

დღეს საღამოს ლუქსემბურგ — საქართველოს ამხანაგურია, დღესვე დილით კი კლაუს ტოპმიოლერი მატჩამდელ ვარჯიშს გამართავს. გუშინ ჩვენმა ნაკრებმა საღამოს ივარჯიშა, მანამდე კი ტოპმიოლერის პრესკონფერენცია იყო, რომელსაც მხოლოდ ოთხი ადგილობრივი ჟურნალისტი დაესწრო და ორად-ორი შეკითხვით ამოიწურნენ.

გერმანელ მწვრთნელს საქართველოს ნაკრების დღევანდელ მდგომარეობაზე ჰკითხეს, რაზეც ასეთი პასუხი იყო: „უძნელეს შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით, საიდანაც საქართველოს ვერგასვლა ლოგიკურიცაა. მიუხედავად ამისა, დარჩენილი ოთხი მატჩიდან სამი შინ გვაქვს და დიდი იმედი მაქვს, რომ ქულათა საკმაო რაოდენობას დავაგროვებთ."

ტოპის დანაკლისზეც ჰკითხეს, გუნდს ხომ ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე და ზაალ ელიავა დააკლდნენ.

ახალი კი ისაა, რომ გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა გიორგი დემეტრაძემ, ვისაც მცირე ტრავმა აწუხებს და ითამაშებს თუ არა დღეს, ჯერ უცნობია — სავარაუდოდ, არა...

გუშინვე, ნავარჯიშევს ჩვენი ფეხბურთელები ლუქსემბურგ — საქართველოს კალათბურთელთა მატჩს დაესწრნენ და გამარჯვება პირველებმა მიულოცეს...

ილია ნანობაშვილი

## სად აინტერესებთ ყველაზე მეტად ჩვენი ჩემპიონატი
## საქართველო არ შეარცხვინოთ, ბიჭებო!



ერნესტ აკუასაგა



ჟორჟ აკირემი



დიდიე ოვანო



პოლ კესანი

ამასაც ვეღირსეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი რომელიმე უცხოური ნაკრებისთვის ყურადღების ობიექტია. მიხვდებოდით, რომ გაბონზეა ლაპარაკი — ალენ ჟირესის ნაკრები ბენინს ხვდება ამხანაგურად და საამმატჩოდ ჩვენი ჩემპიონატიდან ოთხივე ლეგიონერი გამოიძახეს. „ზესტაფონის" პოლ კესანი, რუსთავის „ოლიმპის" ერნესტ აკუასაგა და თბილისის „დინამოს" ჟორჟ აკირემი და დიდიე ოვონო.

ილია ნანობაშვილი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
V ტური

ბრაუნშვაიგი 3:5 უნიონი

### ინგლისი

კონფერენსლიგა. III ტური

კემბრიჯი 5:1 ფერსლი

### ირლანდია

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი

სლიგო 2:2 (2:2დდ. პენ.4:2) შემროკროვერი

### ამხანაგური მატჩები

უდინეზე — პენიაროლი გადაიდო
განა 1:1 სენეგალი
მოზამბიკი 3:1 ზიმბაბვე

ახალგაზრდულები (U-21)

სერბეთი 1:1 (პენ.7:6) მოლდოვა
საბერძნეთი 1:4 ბულგარეთი
ჩერნიგორია 1:2 სლოვენია
გერმანია 2:2 ირლანდია
უკრაინა 1:1 (პენ. 4:5) ისრაელი
შვედეთი 3:4 უელსი
ჩრდ. ირლანდია 2:1 ფინეთი
შოტლანდია 1:0 ჩეხეთი
ინგლისი 1:1 რუმინეთი
იტალია 2:1 საფრანგეთი
პორტუგალია 3:0 მალტა



ზუგდიდის „მგლები“ სამეგრელოს ერთადერთი წარმომადგენელია უმაღლეს ლიგაში. არცთუ მცირე საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქს კარგა ხანი არ ჰყავდა გუნდი ზედა ეშელონში, ახლა კი ზუგდიდში ნამდვილი საფეხბურთო ბუმიაო, გვითხრა „მგლების“ მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ.

ბუმი კი, პირველ რიგში, კოხტა სტადიონის და გულშემატკივრების სიმრავლის მიხედვით ჩანს — წინა ტურში, როცა 5 000-იანი სტადიონი გაიხსნა „მგლები“ — „მერანის“ მატჩით, ტრიბუნები თითქმის ბოლომდე შეივსო. „მგლებს“ ორი ტურის შემდეგ თითო მოგება-წაგება აქვს...

# მგლები შეცდომებს უკირკიტებენ

## ბესიკ შეროზია: ასეთი ქომაგობა ზუგდიდში არასდროს მინახავს

— პირველ ტურში „მესხეთთან“ არანაირად არ გვქონდა წასაგები, ბევრი მომენტი შევქმენით და ერთიც ვერ გავიტანეთ. „მერანთან“ საშინაო შეხვედრაში კი სამი ქულა დამსახურებულად ავიღეთ და, მართალია, ბევრი შანსი გავუშვით ხელიდან, 1:0 მაინც მოვიგეთ. რა თქმა უნდა, შეცდომა ბევრი გვაქვს და ამის გამოსწორებაზე ვმუშაობთ. ესაა მთავარი — როცა ხარვეზებს სწორად აანალიზებ — გვითხრა ბესიკ შეროზიამ.

— ზუგდიდში ყველა მატჩზე ივლის ამდენი მაყურებელი? თუ ეს პირველი თამაში რომ იყო...

— არა, ეჭვიც არ მეპარება, რომ გულშემატკივარი არ მოგვაკლდება. პირველიდან ბოლო წუთამდე გვქომაგობდნენ, ასეთი მხარდაჭერა ზუგდიდში არც კი მახსენდება. ძალიან სასიამოვნოა ასეთი კარგი ატმოსფერო, გულშემატკივრების გარეშე ხომ ფეხბურთს პეწი აკლდება.

— „მერანთან“ თამაშის შემდეგ თქვით, სავარაუდოდ, ორი თურქი ფეხბურთელი შემოგვიერთდებაო...

— ეს საკითხი ჯერ მოსაგვარებელია — შეიძლება, ჩამოვიდნენ, შეიძლება, არა... ჩვენი მენეჯერი ამ დღეებში გაემგზავრება თურქეთში და გასარკვევი იქ გაირკვევა.

— კონკრეტულად ვერ გვეტყვით თურქებზე?

— ის ვიცი, რომ მესამე ლიგის ფეხბურთელები არიან.

— საქართველოში უკვე დაასრულეთ სელექცია, აღარავის დაიმატებთ?

— ორი ფეხბურთელის დამატება კარგი იქნებოდა და შესაძლოა, მოვახერხოთ კიდეც. თანაც ტრავმებს ვერ გადავურჩით: ზამირ ჯანაშიას მენისკის ნიშნები აქვს და ოპერაცია დასჭირდება, გიორგი ჭედია და გიორგი კრასოვსკიც დაშავებულები არიან. ამათგან მხოლოდ კრასოვსკიმ შეიძლება ითამაშოს მომდევნო ტურში „ზესტაფონთან“. ისე, ძალიან კარგი ბიჭები გვყავს ჭაბუკთა ლიგის გუნდში, იქიდან აუცილებლად მივიღებთ შევსებას, რამდენიმე მათგანი „მგლების“ მთავარი გუნდის განაცხადშია.

— ტრავმა აქვს მეკარე აკაკი დევაძესაც. ის როდის დაგიბრუნდებათ?

— თვითონ ძალიან მონდომებულია და მალე სურს თამაშის დაწყება, მაგრამ ექიმების ვარაუდით, უახლოეს პერიოდში ეს ვერ მოხერხდება.

— ამ სეზონში „მგლების“ მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა?

— მაინც დებიუტანტები ვართ და უცბადვე მაღალ მიზნებს ვერ შევეჭიდებით, ჩვენთვის მთავარია, თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ და ამას რაც უფრო სწრაფად გავაკეთებთ, მით უფრო მალე მოვა შედეგიც.

**ილია ნანობაშვილი**

# ერთი გოლი იქით, ერთი გოლი აქეთ...

## ფიფიას ტყუილი არ გაქირდება... ბურთს ბოლოს ის შეეხო



„ზესტაფონი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩი მთავრდებოდა, როდესაც იმერლებმა ანგარიში გაათანაბრეს — ჟილვან ვიეირას ჩაწოდებული ბურთი ვეტერინართა კარში აღმოჩნდა. არადა, ისე ჩანდა, რომ ბურთს ბოლოს გოგი ფიფია შეეხო...

— ერთი გოლი ჩემთვის არაფერს წყვეტს, ტყუილიც არაფერში მჭირდება: ბოლოს ბურთს მე შევეხე, უბრალოდ, მსაჯების შეცდომა იყო — გვიხსნის ფიფია...

— ამბიციური გუნდისთვის ყველა ქულას მნიშვნელობა აქვს. „ვიტ ჯორჯიასთან“ დაკარგული ქულებით სიტუაცია გაირთულეთ...

— ფეხბურთია და ყველაფერი ხდება. მთელი მატჩი ვუტევდით, მეც მქონდა ერთი კარგი მომენტი, მაგრამ...

— „ზესტაფონი“ ყოველთვის დიდი მიზნებისთვის იბრძვის, წლეულს რა გაქვთ დასახული?

— მინიმუმ თასი, მაქსიმუმ ჩემპიონობა.

— გიორგი ჭელიძის შემატებით „ზესტაფონის“ თავდასხმაში კონკურენციამ იმატა...

— რაც უფრო მეტი ძლიერი ფეხბურთელი იქნება გუნდში, მით უკეთესი...

— ჩემპიონატში კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— „დინამო“ ყოველთვის ფავორიტია და წლეულსაც ასე იქნება. გამაკვირვა „ამერმა“ — პირველ ორ ტურში ისე ვერ ითამაშა, როგორც ველოდი, არც „ოლიმპი“ და „ვიტ ჯორჯია“ იქნებიან ხელწამოსაკრავნი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვოტ პრიეხალ ბარინ

## ქასრაშვილი წავიდა, დვალი ტრანსფერზეა



**ახლახან** რუსთავის „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა უკრაინელი ანატოლი პისკოვეცი, რომელმაც ვარლამ კილასონია შეცვალა. ახალი მთავრის მოსვლას, ბუნებრივია, ვინმეს ან ვინმეთა წასვლაც მოჰყვებოდა და შევიტყვეთ კიდეც, რომ გუნდი დატოვა ერთ-ერთმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა.

— რამდენიმე ხნის წინ „ოლიმპის“ ხელმძღვანელობამ მთხოვა, ვარლამ კილასონიას დავხმარებოდი და მეც დავთანხმდი. ჩვენ მანამდეც დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. ახლა გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი მოვიდა და ვფიქრობ, ჩემი წამოსვლით არაფერი დაშავდება“ — გვითხრა გუშინ ქასრაშვილმა.

შევიტყვეთ ისიც, რომ კლუბმა ტრანსფერზე დააყენა ერთ დროს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ჯაბა დვალი.



**ნუკრი ლოლაძე**

# ხოჯავა ანჟიში არ ჩანს

## აშვეთია-აბრამიძე: მაინც მახაჩყალაში

**მიხეილ აშვეთია** და ვალერი აბრამიძე კვლავ „ანჟიში“ვარჯიშობენ და, სავარაუდოდ, დღედღეზე გააფორმებენ კლუბთან კონტრაქტს. რამდენი ხანია, ასე გრძელდება — ორივე ქართველი ჯერ კიდევ მაისის ბოლოს მივიდა მახაჩყალის გუნდში, მაგრამ „ანჟის“ რაღაც დარღვევები ჰქონდა, რის გამოც ახალ ფეხბურთელებს ვერ შეიძენდა.



აშვეთია რამდენიმე დღე რუსული პრემიერლიგის პერმის „ამკარში“ იყო გასინჯვაზე, მაგრამ იქიდან წამოვიდა.

„ანჟიმ“ რუსეთის პირველი დივიზიონი კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო 6-7 ტურში ძალიან აურია და ცხრილის შუაშია. ეს იმის ბრალიცაა, რომ გუნდში აღარ ჩანს გოჩა ხოჯავა — „ანჟის“ თავკაცი ომარ თეთრაძე ამბობს, ხოჯავას ამბავი გასარკვევია, ან დარჩება ჩვენთან, ან არაო.

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 2007-08 წლების მე-19 ეროვნული ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი ტური

### აღმოსავლეთი

20 აგვისტო, ორშაბათი

მეშაქრე (აგარა) 1:1 ნ. დინამოელი-მერანი 2 (თბილისი)

ოლიმპი 2 (რუსთავი ) 1:2 ჩიხურა (საჩხერე)

გაგრა (გაგრა) 1:1 ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი)

ამერი 2 (თბილისი) 3:1 კახეთი (კახეთი)

ოლიმპიკი (თბილისი) 1:1 დინამო 2 (თბილისი)

### დასავლეთი

18 აგვისტო, შაბათი

მეშახტე (ტყიბული) 3:1 კოლხეთი (ხობი)

მერანი (მარტვილი) 1:1 უნივერსიტეტი (ქუთაისი)

სამტრედია (სამტრედია) 1:2 კოლხეთი (ფოთი)

19 აგვისტო, კვირა

ტორპედო (ქუთაისი) 2:2 მაღაროელი (ჭიათურა)

20 აგვისტო, ორშაბათი

ფაზისი (რაჭა) – ზესტაფონი 2 (ზესტაფონი) გადაიდო

# ოჰო! რას არ გაიგებ კაცი



**ალექს ფერგიუსონმა** განგაში დასცა: თავდამსხმელი მჭირდება! ახლავე! და, გასაოცარმა გამოძახილმაც არ დააყოვნა — აბა, თუ მიხვდებით, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ვის გადასვლაზე დაიწყეს ლაპარაკი? არც მეტი, არც ნაკლები, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ნიგერიელი თავდამსხმელის ობაფემი მარტინსის.

დიახ, „სანის“ ყოვლისმჩხრეკველი ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ სერ ალექსი „ნიუკასლის“ თავდამსხმელს მიუცუცქდა, რათა რამენაირად, რაც შეიძლება სწრაფად შეიძინოს და ჩემპიონატის პირველი ტურების კრიზისი მისი დახმარებით დაძლიოს.

მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ჩემპიონატი სამი ტურის დაწყებულია, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი ამ სამ ტურში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

რამდენადაც ცნობილია, ამ სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად ფერგიუსონი „ბოლტონის“ ფრანგ თავდამსხმელ ნიკოლა ანელკასაც მიუდგა. არ არის გამორიცხული, საუბარი „ტოტენჰემ ჰოთსპურთანაც“ გაგრძელდეს — ცნობილია, რომ ფერგის ლონდონელთა ბულგარელი ფორვარდის, დიმიტარ ბერბატოვის ოსტატობა და გოლების რაოდენობა ხიბლავს, ბერბატოვს კი მწვრთნელთან, მარტინ იოლთან პრობლემები აქვს.

კი მაგრამ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ სადმე უძირო სკივრი აქვს და ნებისმიერ თანხას იხდის? — იკითხავს მავანი და ცამდე მართალიც იქნება. აი, მაგალითად, დიმიტარ ბერბატოვის ფასი, სავარაუდოდ, 25 მილიონი გირვანქის ტოლია, ფერგიუსონს კი „მანჩესტერის“ ხელმძღვანელთაგან გამოყოფილი სატრანსფერო თანხებიდან უკვე კარგა ბევრი აქვს დახარჯული.

ერთი სიტყვით, ბერბატოვი ძვირია, აი, მარტინსის საქმე კი სხვანაირადაა. ნიგერიელი ოფიციალურად 13 მილიონი გირვანქა ღირს და, როგორც მისი მწვრთნელი სემ ალარდაისი ამბობს, თუ რომელიმე გუნდი ამ თანხას შესთავაზებს, ის თავდამსხმელს წასვლას ვერ აუკრძალავს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მარტინსმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია უმაღლესი დონის ფეხბურთს თამაშობს და მხოლოდ 22 წლისაა, სულ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სიამოვნებით მოაწერდა ხელს ექვსთვიან კონტრაქტს რომელიმე სხვა გუნდთან.

რა მოსწონს ობაფემი მარტინსის თამაშში ფერგიუსონს? რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა მისი გოლების რაოდენობა — გასულ სეზონში ნიგერიელმა 17 გოლი გაიტანა, ახალდაწყებულ სეზონში კი უკვე ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი თავდამსხმელი ლუი სააც, სავარაუდოდ, ორ კვირაში გამოჯანმრთელდება, აი, უეინ რუნი კი, მოგეხსენებათ, სულ მცირე, ორი თვის განმავლობაში მოუნდება მკურნალობას.

საინტერესოა, რომ ზემოხსენებული ანელკას ყიდვა მანჩესტერის მეორე გუნდს, „სიტისაც“ უნდა.

**პაპუნა ძიძია**

# მანჩესტერმა ჰაინცეს მოუგო



AFP

**ჯეიმია** „მანჩესტერ იუნაიტედში“ — გაბრიელ ჰაინცემ კლუბთან დავა წააგო და ალექს ფერგიუსონის განკარგულებაში დარჩა.

„მანჩესტერის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ გილის მიერ ხელმოწერილ ფურცელს ჰაინცე „ჩაეჭიდა“ და იმედოვნებდა, რომ „ლივერპულში“ გაუშვებდნენ, მაგრამ ამაოდ. ფურცელზე კი ეწერა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაბრიელ ჰაინცეს 6 მილიონ 800 ათას გირვანქად ჰყიდის. არგენტინელი ფეხბურთელი ამტკიცებდა, რომ რაკი რაფაელ ბენიტესი ამ თანხის გადამხდელია, „მანჩესტერმა“ „ლივერპულში“ გადასვლის უფლება უნდა მისცეს. პრემიერლიგის საარბიტრაჟო კომისიამ კი დაადგინა: დევიდ გილის ხელმოწერილი ქაღალდი ფეხბურთელის გაყიდვის ვალდებულებას არ ნიშნავს და მხოლოდ ფასის დაფიქსირებაა.

ამგვარად, გაბრიელ ჰაინცე „ლივერპულში“ ვერ გადავა და „მანჩესტერის“ კონკურენტს არ გააძლიერებს. ალექს ფერგიუსონი ცდილობს, ფეხბურთელი ესპანეთში ან საფრანგეთში გაყიდოს. „მანჩესტერმა“ არგენტინელი უკვე შესთავაზა „ბარსელონას“ და „რეალს“. ორი დღის წინ კი საქმეში „ლიონიც“ ჩაერთო, რომელსაც ექვსი თვით ბრაზილიელი მცველი კრისი გამოაკლდა და შემცვლელს ეძებს.

გაბრიელ ჰაინცეს მაინც „ლივერპული“ უნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 22 მილიონი თქვენ, ვან დერ ვაარტი ჩვენ

## ვალენსიამ მაზანდა აწია



**ესპანურმა** „ვალენსიამ“, ეტყობა, საბოლოოდ გადაწყვიტა, ჰოლანდიელი რაფაელ ვან დერ ვაარტი იყიდოს და ამისთვის ფულს არ იშურებს. გერმანული „ბილდის“ ცნობით, „ღამურათა“ უფროსობამ თავდაპირველი, თოთხმეტმილიონიანი სატრანსფერო შეთავაზება 22 მილიონ ევრომდე გაზარდა. ამ ზედმეტმა 7 მილიონმა, ვალენსიელთა აზრით, „ჰამბურგი“ ვან დერ ვაარტის „მესტალიაზე“ გაშვებაში უნდა დაარწმუნოს.

აქამდე ჩრდილოგერმანული კლუბი მედგრად იდგა და ესპანელთა სატრანსფერო შეტევებს ჯიუტად იგერიებდა, თუმცა დღეიდან შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს — რაფაელ ვან დერ ვაარტს „ვალენსიაში“ გადასვლა გულით უნდა და 22 მილიონი ევროც „ჰამბურგისთვის“ ცოტა ფული არ გახლავთ.

ჰოლანდიელმა ცოტა ხნის წინ გვარიანად ანერვიულა „ჰამბურგი“: ჯერ ზურგის უცნაური ტრავმის მომიზეზებით, უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩში არ მიუღია მონაწილეობა, მერე კი ფოტორეპორტიორთა წინაშე „ვალენსიას“ მაისურაში გამოწყობილმა იპოზიორა.

ამ საქციელისთვის ვან დერ ვაარტმა შეიძლება სოლიდური ჯარიმაც „აიკიდოს“, „ვალენსიას“ კი სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ სატრანსფერო შემოთავაზება გაზარდოს და სასურველი ფეხბურთელი გერმანელთა კლანჭებიდან გამოიხსნას.

მოკლედ, „მესტალიაზე“ „ჰამბურგის“ პასუხს ელიან, ესპანური ლა ლიგა ხომ დამდეგ უქმეებზე იწყება.

**ლადო ხომერიკი**

# პოშტიგას გული

**„პორტუს“** ფორვარდის, ელდერ პოშტიგას [illegible] „[illegible]ტისს“ უნდა. ესპანური კლუბი 2 მილიონ 500 ათას ევროს იხდის, მაგრამ პორტუგალიელები სამნახევარს ითხოვენ. თვითონ ფეხბურთელსაც გული „ბეტისისკენ“ მიუწევს და „პორტუს“ შეფებს ტრანსფერის დროულად მოგვარებას სთხოვს.

# ნახევარი ფეხბურთელები ნაპოლის

**„ნაპოლიმ“** „იუვენტუსიდან“ მანუელე ბლაზი და მარსელო ზალაიეტა წაიყვანა და მათი კონტრაქტების 50 პროცენტი გამოისყიდა. ტურინული კლუბის სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ გარიგება დაადასტურა. ორივე ფეხბურთელი ნეაპოლელებს მილიონ 425 ათასი გირვანქა დაუჯდათ.

# ფეხბურთს არ მიეკარო!

**„ლიერსის“** ყოფილი მწვრთნელი პოლ ჰუტი ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ სამუდამოდ მოკვეთა ფეხბურთიდან და ქვეყნის ტერიტორიაზე ამ საქმესთან მიკარება აუკრძალა. გუნდი კი მესამე დივიზიონში ჩააყუდეს — ასე დასაჯეს დამნაშავეები, რომლებსაც 2004-2005-ის სეზონში მატჩების შეგნებულად წაგება დაუმტკიცდათ. მავანი ჩინელი ბიზნესმენ-მაფიოზი „ლიერსის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს ქრთამავდა და ისინიც მარცხდებოდნენ, ჩინელი კი თავის სამშობლოში ტოტალიზატორში ფულს იგებდა. „ლიერსს“ ექვსი ქულაც დააკლეს და 15 ათას 500 ევროც გადაახდევინეს.

# პორტში ლავი დაცურავს

**„სანდი მირორის“** ცნობით, „პორტსმუთი“ ცსკა-ს ვაგნერ ლავით დაინტერესდა. ბრაზილიელი „კოპა ამერიკაზე“ ნაკრების ძირითად ფორვარდად იქცა და ინტერესიც ამითაა გამოწვეული. ჰარი რედნაპს გუნდში ჰყავს ნვანკვო კანუ და ჯონ უტაკა, მაგრამ შეტევის კიდევ უფრო გაძლიერებას აპირებს.

# თოფი ლუკას დასდევს

**„არსენალი“** არ ეშვება ლუკა მოდრიჩს — წერს „სანდი მეილი“. ზაგრების „დინამოს“ ხორვატი ნახევარმცველი არაერთ ევროპულ კლუბს მოსწონს და მათ შორის ყველაზე მეტად მიუნხენის „ბაიერნი“ აქტიურობს. „არსენალმა“ კი „დინამოსთან“ უკვე გააბა საქმიანი ურთიერთობა მას შემდეგ, რაც ედუარდო და სილვა შეიძინა. მოდრიჩის ფასი დაახლოებით 10 მილიონი გირვანქაა.

# ფაქსი რიკელმეს სახელზე

**„ტოტენჰემმა“** ოფიციალურად მიმართა „ვილიარეალს“ ხუან რომან რიკელმეს თაობაზე. ინგლისელებმა „ყვითლებს“ 15 მილიონი ევრო შესთავაზეს და პასუხს ელიან. რიკელმეს აგენტი მარკოს ფრანჩი: „ვიცით, რომ კლუბში ფაქსი მოვიდა და „ვილიარეალის“ პრეზიდენტი ფერნანდო როიგი ტრანსფერზე ფიქრობს. გადაწყვეტილება 31 აგვისტომდე უნდა მიიღოს, თორემ რიკელმე გუნდში დარჩება“.

# გრავესენი გეგმიდან დაიკარგა

**„მიდლსბრო“** და „ბოლტონი“ თომას გრავესენის გადაბირებას ცდილობენ „სელტიკიდან“, რომლის მწვრთნელიც უკმაყოფილოა დანიელი ფეხბურთელით. „სელტიკის“ თავკაცმა გორდონ სტრაჩანმა სეზონის დაწყების წინ განაცხადა, რომ გრავესენი მის სამომავლო გეგმებში არ შედის და ამიტომ ტრანსფერზე დააყენებენ.

# გუდიონსენი ფრედის მაგივრად

**„ბარსელონას“** ისლანდიელი ფორვარდი ეიდურ გუდიონსენი შესაძლოა, „ლიონში“ გადავიდეს. საფრანგეთის ჩემპიონმა თავდამსხმელის ძებნა დაიწყო მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი ფრედი გუნდიდან წასვლაზე ალაპარაკდა. „ლიონი“ „ბარსას“ გუდიონსენში 10 მილიონ 500 ათას ევროს სთავაზობს.

# ზიდანმა კინო მოიმიზეზა

**ზინედინ ზიდანმა** უარი თქვა ამხანაგურ, საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობაზე. მას ავსტრალიური „სიდნეის“ შემადგენლობაში უნდა ეთამაშა დევიდ ბექჰემის „ლოს ანჯელეს გალაქსის“ წინააღმდეგ. ეს შეხვედრა 27 ნოემბერს სიდნეიში გაიმართება. 70 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია. ზიდანმა განაცხადა, რომ დოკუმენტურ ფილმში გადაღებითაა დაკავებული და ვერ მოიცლის.

# ჩეხთა ჩეხი

**„ჩელსის“** მეკარე პეტრ ჩეხმა ზედიზედ მესამედ მოიგო შინაური „ოქროს ბურთი“ — იგი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვაში მან სამი ქულით გაუსწრო არსენალელ ტომაშ როსიცკის, „მილანის“ მცველი მარეკ იანკულოვსკი მესამეზე გავიდა“.

# მეც მინდა ევროპა!

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ „ატლეტიკო პარანენსეს“ მეკარე მარინატო გილერმე იყიდა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამ სეზონში მან ჩემპიონატში 18 და თასზე 3 მატჩი ითამაშა. „ყველა ბრაზილიელი ფეხბურთელი ფიქრობს ევროპულ კარიერაზე და არც მე ვარ გამონაკლისი“ — თქვა 21 წლის გილერმემ. ახლა „ლოკომოტივში“ ხუთი მეკარეა, პირველი ნომერი კი იტალიელი ივან პელიცოლია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიეგო მილიტო



კლაას იან ჰუნტელაარი



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



AFP

# სამში ერთი რეალისთვის

## ფორვარდებო, ნაბიჯით იარ შუსტერისკენ!

„სევილიასთან" „სანტიაგო ბერნაბეუზე" განცდილი სამარცხვინო მარცხის შემდეგ მადრიდის „რეალის" მწვრთნელი ბერნდ შუსტერი გულხელდაკრეფილი არ ჩერდება და ვითარების გამოსწორებას ახალი ფეხბურთელების ყიდვით აპირებს. გუშინწინ გერმანელი „რეალის" სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს შეხვდა და ახალი ტრანსფერების განხორციელება მოსთხოვა. იქამდე კი შუსტერს კლუბის პრეზიდენტ რამონ კალდერონთან ჰქონდა „პაემანი". მწვრთნელი და პრეზიდენტი ერთმანეთს ერთ მადრიდულ რესტორანში შეხვდნენ. ასე წერს იქაური „ასი", ხოლო ჩვენ კი ის გავიხსენოთ, რომ კალდერონი და შუსტერი „რეალისთვის" საჭირბოროტო საკითხებს სუფრასთან წყვეტენ ხოლმე — 2007 წლის მარტში ხომ კალდერონმა შუსტერი რესტორანში მიიწვია და სეზონის მიწურულს გუნდის სადავეების ჩაბარებას დაჰპირდა. არადა, იმ პერიოდში „სამეფო კლუბის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო იყო, კაცი, რომელმაც „რეალი ოთხწლიანი „გვალვის" შემდეგ გააჩემპიონა

**მოკლედ,** სიტყვა გაგვიგრძელდა და ისევ ტრანსფერების თემას მივუბრუნდეთ. ბერნდ შუსტერმა მიატოვიჩსაც და კალდერონსაც ერთი და იგივე უთხრა: „გოლს ველარ ვიტანთ. არიენ რობენის გარდა, სხვა ფორვარდიც გვჭირდება".

გეხსომებათ, ამ ზაფხულს კაპელოს შემცვლელს მედიასთან ინტერვიუებში არ დაუფარავს, რომ „რეალში" მოსული სამი ახალი ფორვარდის (სავიოლა, სოლდადო, ბაპტისტა) ყოფნით არ დაკმაყოფილდებოდა და ახალი ტრანსფერებისთვის იზრუნებდა. ამ მოიერიშეთაგან სავიოლა და სოლდადო „ბერნარდოს" უშუალო რეკომენდაციით მოხვდნენ კასტილიურ გრანდში, გერმანელმა პრეზიდენტს ჯერ კიდევ მარტში სთხოვა მათი შეძენა.

პრედრაგ მიატოვიჩი კი სატრანსფერო ბაზარს გამალებით ზვერავს. ვითარება საგანგაშოა, „ტერესა ერერას" თასზე, „ბელენენსეშთან" და „დეპორტივოსთან" ნათამაშებ 180 წუთში მადრიდელებმა მხოლოდ ორი გოლი შეაგდეს (რობინიო და ბაპტისტა). ექსბარსელონელმა ხავიერ სავიოლამ კი მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებულ 10 მატჩში ორად ორი გოლი შეაგდო (მოსკოვის „ლოკომოტივთან" და პსვ-სთან), ისევე როგორც რობერტო სოლდადომ („სტოკ სიტისთან" და „კადისთან").

წარმოშობით ვალენსიელი და „რეალ კასტილიას" სკოლაგავლილი სოლდადო შუსტერს „ხეტაფეში" მწვრთნელობის დროსაც უნდოდა ეყიდა. ფორვარდმა გასულ სეზონში „ოსასუნას" ფეხბურთელობისას 13 ბურთი გაიტანა, თუმცა „ბერნარდოს" რატომღაც აზრი შეეცვალა და ახლა ფიქრობს, რომ სოლდადო რუუდ ვან ნისტელროის თავდასხმაში იდეალურ კომპანიონობას ვერ გაუწევს.

შუსტერმა ამიტომაც სთხოვა მიატოვიჩს, სოლდადოს თაობაზე სატრანსფერო შემოთავაზებები ყურადღებით განიხილოს (მისი შეძენით „ბეტისი" და „დეპორტივო" არიან დაინტერესებულნი) და სამომავალსეზონოდ ეს ფეხბურთელი პრიმერადივიზიონის რომელიმე კლუბში იჯარით გააგზავნოს. ესპანური გაზეთები ამტკიცებენ, რომ სოლდადოზე გამწყრალი გერმანელი მოიერიშეს „ბერნაბეუზე" დარჩენის შემთხვევაში, სათადარიგოთა სკამის მუდმივ ბინადრად გადააქცევს და ნაკლებად მისცემს შანსს, მოედანზე თავი გამოიჩინოს.

ახლა იმათზეც ვთქვათ, რომლებიც „რეალის" მომავალ ფორვარდებად მოიაზრებიან. გაირკვა, რომ პრედრაგ მიატოვიჩი არგენტინელი დიეგო მილიტოს, ჰოლანდიელი კლაას იან ჰუნტელაარისა ან შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერზე მუშაობს.

### დიეგო მილიტო

შუსტერის ფავორიტი თავდამსხმელი 1979 წლის 12 ივნისს არგენტინის პატარა ქალაქ ბერნალ ოესტეში დაიბადა. სიყმაწვილეში აველანედას „რასინგში" ბურთაობდა, შემდეგ კი მაშინ, ჯერ კიდევ იტალიური სერია „B-ს ბინადარმა კლუბმა, „ჯენოამ" წაიყვანა. აპენინებზე გატარებული ორი წლის შემდეგ დიეგო მილიტო „სარაგოსაში" მოხვდა, სადაც ესპანური პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ჩამოყალიბდა. პირველსავე ესპანურ სეზონში არგენტინელმა 36 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 15 გოლი შეაგდო. გასულ სეზონში კი მან 37 მატჩში ითამაშა და 23 გოლი გაიტანა.

„სარაგოსას" ყოჩაღი პატაგონიელის გაყიდვა არ უნდა და მოლაპარაკებაზე ნებისმიერ კლუბს ეუბნება უარს, თუ საქმე მილიტოს გასხვისებას ეხება. არაგონელებმა ფეხბურთელის აგენტ ფერნანდო იდალგოსაც მიმართეს დიეგოსთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე, მაგრამ მადრიდში ამბობენ, რომ სენიორ იდალგო „სარაგოსასთან" თათბირამდე „რეალის" უფროსობასთან გაივლის კონსულტაციებს... მილიტოს „სარაგოსასთან" ხელშეკრულების გაუქმების თანხა 25 მილიონი ევროა, რისი გადახდის შემთხვევაშიც, „სამეფო გუნდი" არგენტინელს ხელში ჩაიგდებს.

„სარაგოსას" თავდამსხმელი, ზემოთაც გითხარით, ბერნდ შუსტერის უპირველესი ფავორიტია და გერმანელიც უფროსობას სთხოვს, არგენტინელთან კონტრაქტი რაც შეიძლება, მალე გააფორმონ. თუმც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიეგო მილიტო იმ გაბრიელ მილიტოს ღვიძლი ძმაა, რომელიც თავის დროზე „რეალმა" დაიწუნა, „სარაგოსაში" გააგზავნა და ამით კასტილიური გრანდის მტრად აქცია (ამჟამად გაბი მილიტო „სამეფო გუნდის" მოსისხლე მტრის, „ბარსელონას" ფეხბურთელია). ამან შეიძლება დიეგოს მადრიდში გადაბარგებას ხელი შეუშალოს.

### კლაას იან ჰუნტელაარი

დრემპტში, პატარა ჰოლანდიურ ქალაქში დაიბადა 1983 წლის 12 აგვისტოს. ახლა 24 წლისაა და მილიტოსი არ იყოს, ბერნდ შუსტერს იგიც ძალიან მოსწონს. თამაშობდა პსვ-ში, შემდეგ „ჰერენვენში", ხოლო ბოლო სამი სეზონია, „აიაქსის" ფეხბურთელია. ჰუნტელაარი კლუბში მუდამ ძირითადშია და ქვეყნის ნაკრების მაისურაც მოირგო. გასულ სეზონში ჰოლანდიელმა 31 მატჩში 21 გოლი გაიტანა.

კვირას, „აიაქსმა" ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი გამართა „გრააფსხაპთან", სწორედ იმ გუნდთან, რომლის რიგებშიც თავის დროზე ჰუნტელაარი ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. თამაში „აიაქსმა" 8:1 მოიგო, ხოლო კლაას იანმა 4 გოლი შეაგდო. იგი შესანიშნავი ფორვარდია, მაგრამ „რეალში" გადასვლის შემთხვევაში 2007-08 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ ითამაშებს — „აიაქსთან" ერთად უკვე იბურთავა მესამე საკვალიფიკაციო მატჩში პრაღის „სპარტასთან". ჰუნტელაარის სატრანსფერო ფასი 18 მილიონი ევროა, ხოლო მის შეძენა ტურინის „იუვენტუსსაც" სურს.

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ბოსნიურ წარმოშობის შვედი იბრაჰიმოვიჩი 1981 წლის 3 ოქტომბერს დაიბადა მალმიოში. პროფესიული კარიერა ადგილობრივ გუნდში დაიწყო, შემდეგ კი ოთხი სეზონი ამსტერდამის „აიაქსში" ითამაშა. ჰოლანდიური პერიოდის მერე „იბრამ" იტალიას მიაშურა, სადაც ჯერ იუვენტუსის", ხოლო შემდეგ „ინტერის" ფეხბურთელი გახდა. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კანდიდატებთან შედარებით იბრაჰიმოვიჩს შედარებით ნაკლებად გააქვს გოლები — გასულ სეზონში „ინტერში" მეტოქეთა მისადგომები 15-ჯერ დალაშქრა. იგი მსოფლიოში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი მათგანი ნაღდადაა და „რეალის" სპორტული დირექტორი მიატოვიჩიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" სწორედ ზლატანის მიყვანის მომხრეა.

მისით „რეალი" პირველად როდი ინტერესდება. 2006 წლის ზაფხულში, „სამეფო თეთრები" მოლაპარაკებას იბრაჰიმოვიჩის მაშინდელ კლუბ „იუვენტუსთან" აწარმოებდნენ. შვედის სიმაღლე 192 სანტიმეტრია, თუმცა მძლავრი აღნაგობის მიუხედავად, ძალიან მოქნილია და ბურთიც ზედმიწევნით კარგად იცის. „ინტერი" შვედს 20 მილიონ ევროდ აფასებს.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიჭმა მიკაზე მითხრა

## რაში ჩაჰყო ფეხი ერიკსონმა?



მიკა რიჩარდსი



იან რაიტი

**მოგეხსენებათ,** ბოლო ხანს საფეხბურთო მიმომხილველობას 90-იანი წლების ცნობილი ინგლისელი ფორვარდი იან რაიტიც შეუდგა და ვფიქრობთ, მისი მოსაზრებების გაცნობა შიგადაშიგ მაინც საინტერესოა.

აი, მაგალითად, დღევანდელ მიმოხილვაში „არსენალის“ დიდი ფორვარდი სვენ-გორან ერიკსონზე წერს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მძლეველი „მანჩესტერ სიტის“ შვედ მწვრთნელზე რაიტი პირველივე წინადადებაში წერს, ეგ კაცი ინგლისის ნაკრებს რომ წვრთნიდა, ძალიან არ მსიამოვნებდა, მაგრამ ახლა ფაქტია და ვერსად გავექცევი, „მანჩესტერ სიტიმ“ მის ხელში ჩემპიონატი დიდებულად დაიწყოო.

„ვფიქრობ, ერიკსონი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ფეხს რაიმე სიბინძურეში რომ ჩაყოფენ და მაინც ვარდის სურნელებას აფრქვევენ — წერს რაიტი — ფაქტი ფაქტად რჩება, მან რამდენიმე ჭკვიანური ტრანსფერი განახორციელა და ჩემპიონატიც სამი მშვენიერი შედეგით დაიწყო. მაგრამ არის კიდევ ერთი საქმე, რომელშიც ერიკსონმა წარმატებას მიაღწია. ეს მიკა რიჩარდსის შენარჩუნება გახლავთ. დანამდვილებით ვიცი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ლივერპული“ და „ჩელსი“ დღესვე იყიდდნენ ამ საოცარი ნიჭით დაჯილდოვებულ მცველს, მაგრამ ერიკსონმა მოახერხა და ის „მანჩესტერ სიტიში“ დატოვა.

მე მის შესახებ ჩემი ბიჭისგან, ბრედლისგან ვიცოდი. ბრედლი და მიკა „სიტის“ რეზერვისტებში თამაშობდნენ ერთად და ყველაფერი, რასაც ბრედლი მის შესახებ მიყვებოდა, „სიტის“ დიდი გუნდის პირველივე თამაშებმა დაადასტურა. „ვესტ ჰემთან“ პირველ ტურში, ის საუცხოო იყო და არანაკლებ ძლიერად ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედთან“. მიკას ყველაფერი აქვს, ინგლისის ნაკრების უმაღლესი დონის მოთამაშე რომ გამოვიდეს. ის სწრაფია, ღონიერი, თავით ჩინებულად თამაშობს და სიტუაციებს კითხულობს. მე თუ მკითხავთ, მას დღესვე შეუძლია, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელები გააუვნებლოს.

სწორედ ამიტომ ვიმედოვნებ, რომ სტივ მაკლარენი გერმანიის ნაკრებთან მიკა რიჩარდსს სასტარტო შემადგენლობაში დააყენებს, თუნდ ეს მის მარჯვენა ფრთაზე გადაყვანასა და რიო ფერდინანდისა და ჯონ ტერის ცენტრში შეწყვილებას ნიშნავდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც ფერდინანდი, ასევე ტერი, ყველა ღონეს იხმარენ, რათა საუკეთესოდ ითამაშონ, რადგან მათ ეცოდინებათ, რომ მიკა კონკურენციას უწევს და შესაძლოა, რომელიმე შემადგენლობიდან ამოაგდოს კიდეც.

ახლა, ორიოდ სიტყვით გერმანიის ნაკრებთან თამაშზე. ეს თამაში დიახაც საინტერესოა, მაგრამ ზოგმა რომ თქვა, სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვსო, არ ვეთანხმები. მნიშვნელობა რუსეთსა და ისრაელთან ოფიციალურ მატჩებს აქვს.

რასაკვირველია, ამ შეხვედრაში უეინ რუნის არყოფნა ჩვენი ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ მეორე მხრივ, რუნის არყოფნა სხვა თავდამსხმელებს მისცემს თავის გამოჩენის საშუალებას. მე, მაგალითად, ძალიან მაინტერესებს პიტერ კრაუჩისა და ენდი ჯონსონის წყვილი. ასეთ შემთხვევაში მაიკლ ოუენი სათადარიგოთა სკამზე უნდა დაჯდეს.

მაინტერესებს ჯერმენ დეფოს ამბავიც. ვფიქრობ, ჯერმენს საკუთარ თავთან რამდენიმე შეკითხვა უნდა ჰქონდეს და მათზე პასუხების გაცემას ცდილობდეს. თან, დეფო „ტოტენჰემში“ დარენ ბენტის კონკურენტია“.

**პაპუნა ძედია**

# იოლი თამაშები

## რამოს-ვლია ტოტენჰემ ჰოთსპურს?



აი, ახალი ამბავი! მარტინ იოლს დიმიტარ ბერბატოვთან უსიამოვნება შემთხვევია და, ამბობენ საქმე იქამდეა გამწვავებული, რომ მწვრთნელმა შეიძლება ქუდი დაიხუროს და გუნდიდან წავიდესო. რაც შეეხება „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავმჯდომარეს, დანიელ ლევის, მას რამდენიმე დღის წინ გაოცებისგან ყბა ჩამოვარდნია — ყველაფერს ელოდა და, თუ იოლი ბერბატოვის გაყიდვას დაიჩემებდა, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა. ერთი სიტყვით, ლონდონურ კლუბში დიდი გაუგებრეობაა და, როგორც ამბობენ, იოლის გაცეცხლებას ლევი მწვრთნელის გამოცვლაზეც კი დაუფიქრებია — თურმე თავმჯდომარეს ესპანური „სევილიას“ მწვრთნელზე, ხუანდე რამოსზე დაუწყია საუბარი

**როგორც** გაზეთ „სანისთვის“ გახდა ცნობილი, იოლს არც სხვა ფეხბურთელებთან ჰქონია დალაგებული ურთიერთობა. თურმე მის მოთამაშეთა კარგა დიდ ჯგუფს ძალიან არ მოსწონს მწვრთნელის მიერ შერჩეული შემადგენლობა და ტაქტიკა, განსაკუთრებით სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში.

ბევრს სწამს, რომ ჰოლანდიელ მწვრთნელს ფეხბურთელებს შორის თავისი ფავორიტები ჰყავს და უპირატესობას მათ ანიჭებს.

მთელი ეს ისტორია კი პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის პირველ ტურში აგორდა. ეს გახლდათ თამაში „სანდერლენდთან“, რომელიც „სფურზმა“ 0:1 წააგო. იმ დღეს იოლმა წინა სეზონში 23 გოლის ავტორი ბულგარელი სასტარტო შემადგენლობაში არ დაასახელა, რამაც ბერბატოვი გააბრაზა. ფეხბურთელმა გაბრაზება როგორ გამიბედაო და მწვრთნელმა დაუყოვნებლივ თავმჯდომარესთან მოითხოვა შეხვედრა, სადაც, როგორც გითხარით, ბერბატოვის გაყიდვა მოითხოვა. იოლის მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ შარშან „ლევერკუზენიდან“ 10,9 მილიონ გირვანქად ნაყიდი ბერბატოვი გუნდური სულის მოთამაშე არ არის, მას კოლექტივის გაგება და მასთან შერწყმა არ შეუძლია. ბულგარელის ყიდვის მოთხოვნას თავმჯდომარე მკაცრად შეხვდა. მან 26 წლის ფორვარდზე „მანჩესტერ იუნაიტედს“ საუბარიც არ დაუწყო და მარტინ იოლის აზრების გამო, ბუნებრივია არ გაყიდდა.

ამბობენ, რომ დანიელ ლევი, ამ ისტორიის შემდეგ აშკარად ხედავს, რომ გუნდში რაღაც შესაცვლელია. გაირკვა, რომ გასულ პარასკევს ზემოხსენებული ხუანდე რამოსის აგენტი ალვარო ტორესი და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ვიცე-თავმჯდომარე პოლ კიმსლი, ლონდონური კლუბის მდივან ჯონ ალექსანდერის თანდასწრებით შეხვდნენ ერთმანეთს. ტოტენჰემელები ამ მოლაპარაკებებზე დანიელ ლევის გაუშვია და თურმე დიდი იმედითაც ელოდებიან რამოსის პასუხს. ამბობენ, რომ სევილიის სასტუმრო „ალფონსო ოტელში“ ინგლისელებს რამოსთან თუ მის აგენტთან დეტალებიღა დარჩათ დასაზუსტებელი და ესპანელი მწვრთნელისგან დადებით პასუხს მიიღებენ.

ბოლო ხანს, ლევი დაჟინებით იმეორებს, რომ მას სჭირდება მწვრთნელი, რომელიც „ტოტენჰემს“ შემტევ სტილს დაუბრუნებს, ასეთი კი ხუანდე რამოსია, სპეციალისტი, რომელმაც თავის გუნდებს ორჯერ მოაგებინა უეფას თასი და მეტიც, ჩემპიონთა ლიგაშიც კი ათამაშა. და, იცით, რა არის „ტოტენჰემის“ თავმჯდომარისთვის გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გასვლა? ეს ის არის, რაც მარტინ იოლმა ლონდონელებთან სამწლიანი თანამშრომლობის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხა.

მერედა, „სფურზის“ ხელმძღვანელობამ მარტინ იოლს ყველაფერში მხარი დაუჭირა. ამის ნათელი დასტურია სატრანსფერო ბაზარი, სადაც კლუბმა ჰოლანდიელი მწვრთნელის მოთხოვნით 106 მილიონი გირვანქა დახარჯა.

ასე და ამგვარად, „ტოტენჰამ ჰოთსპურის“ დირექტორატი აღარ არის დარწმუნებული, რომ მარტინ იოლი სწორედ ის კაცია, რომელიც მათი გუნდის წარმატებებისთვის არის საჭირო.

რაც შეეხება რამოსს, ერთი დანამდვილებით ვიცით, რომ ამ მწვრთნელს პარასკევს, ევროპის სუპერთასზე „მილანის“ წინააღმდეგ თავად სურს „სევილიას“ გაყვანა, ასე რომ, ტოტენჰემელებს რაგინდ ეჩქარებოდეთ, ამ დღეებში იოლის რამოსით შეცვლის საკითხი ვერ მოგვარდება, მაგრამ ამის შემდეგ გამორიცხული არაფერია.

მარტინ იოლს კონტრაქტის თანახმად კიდევ ორი წელიწადი აქვს „ტოტენჰემში“ დარჩენილი. მისი ხელფასი კვირაში 25 ათასი გირვანქაა, ხოლო რამოსს „სევილიასთან“ ერთწლიანი და გირვანქებში რომ ვთქვათ, მილიონიანი ხელშეკრულება აკავშირებს.

**პაპუნა ძედია**

## ხუთიღა დარჩა

**ბრაზილიაში** გუშინ ორი მწვრთნელი მოხსნეს: „ატლეტიკო პარანენსედან“ ანტონიო ლოპესი დაითხოვეს, რომელმაც 16 მატჩში მხოლოდ სამი მოიგო, ხოლო „პარანადან“ ჟილსონ კლეინა გაათავისუფლეს. მან მხოლოდ შვიდი ტური გაძლო და გუშინწინ ლორი სანდრიმ შეცვალა. ეს უკვე მეოთხე მწვრთნელია „პარანასი“ აპრილიდან. „ჟუვენტუდედან“ პარასკევს წასული კლაუდიო დუარტეს ნაცვლად კი ბეტუ ალმეიდა დანიშნეს. 20 კლუბიდან წლეულს მხოლოდ ხუთს („სან პაულუ“, „პალმეირასი“, „სანტოსი“, „გრემიო“ და „ბოტაფოგო“) არ შეუცვლია მწვრთნელი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი. დღეს

**A ჯგუფი**

ფინეთი — ყაზახეთი

ბელგია — სერბეთი

სომხეთი — პორტუგალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:7 | 19 |
| სერბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| ფინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| ბელგია | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| სომხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:7 | 7 |
| ყაზახეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

**D ჯგუფი**

სან მარინო — კვიპროსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 29:4 | 19 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 16:13 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:36 | 0 |

**E ჯგუფი**

ესტონეთი — ანდორა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 17 |
| ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| რუსეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:1 | 15 |
| ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:2 | 14 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:14 | 0 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1:28 | 0 |

**F ჯგუფი**

ჩრდ. ირლანდია — ლიხტენშტაინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 17:4 | 18 |
| ესპანეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| დანია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 10 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:18 | 4 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| ლატვია | 6 | 1 | 0 | 5 | 4:7 | 3 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. II ტური**

კიოლნი 0:1 ალემანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:3 | 6 |
| ოფენბახი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ფიურტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ვეჰენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ოსნაბრიუკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ალემანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კიოლნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ზანკტ პაული | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კობლენცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| გლადბახი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| აუე | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კარლ ცაისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჰოფენჰაიმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლაუტერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პადერბორნი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| აუგსბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. IV ტური**

ლე ავრი 1:0 ნანტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრენობლი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| დიჟონი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ნანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| მონპელიე | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ბრესტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სედანი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ლე ავრი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| რეიმსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | 6 |
| გენგამი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| კლერმონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ტრუა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| ბულონი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| შატორუ | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ამიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ნიორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ანჟერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| აიაჩო | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| გენიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| ლიბურნი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. I ტური**

ნავალი 1:1 ბელენენსეში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| მარიტიმუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ნავალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სეტუბალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბელენენსეში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლეიშოეში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბოავიშტა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლეირია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ამადორა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნასიონალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბრაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ფერეირა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| აკადემიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

## ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. III ტური**

ბოჰემიანსი 0:0 სიგმა

იაბლონეცი 1:1 ბოლესლავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| ტეპლიცე | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| სლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| სპარტა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| პლზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბრნო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ზლინი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სიგმა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| ბუდეიოვიცე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ჟიჟკოვი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| კლადნო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ბოჰემიანსი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| ბოლესლავი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| იაბლონეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ლიბერეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| მოსტი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |

## დანია

**სუპერლიგა. VI ტური**

| 11461 | ბელორუსი-ისრაელი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11462 | რუსეთი-პოლონეთი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11466 | ბოსნია-ხორვატია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11467 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11469 | მაკედონია-ნიგერია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11471 | ნორვეგია-არგენტინა | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11517 | დანია-ირლანდია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11518 | ისლანდია-კანადა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11519 | რუმინეთი-თურქეთი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11520 | შვეიცარია-ჰოლანდია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11521 | ავსტრია-ჩეხეთი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11523 | შვედეთი-აშშ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11524 | უნგრეთი-იტალია | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11525 | ინგლისი-გერმანია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11526 | სლოვაკეთი-საფრანგეთი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11527 | შოტლანდია-სამ აფრიკა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11528 | ეკვადორი-ბოლივია | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11529 | კოლუმბია-მექსიკა ნ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11530 | პარაგვაი-ვენესუელა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11531 | კოსტა რიკა-პერუ ნ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11536 | კრუზეირო-გოიასი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11537 | ბოტაფოგო-კორინთიანსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11538 | სან პაულო-ფიგუეირენსე | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15459 | ბულგარეთი-უელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15460 | ლატვია-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | ბელორუსი-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15462 | რუსეთი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15466 | ბოსნია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15469 | მაკედონია-ნიგერია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15471 | ნორვეგია-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15517 | დანია-ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15518 | ისლანდია-კანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15519 | რუმინეთი-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15520 | შვეიცარია-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 | ავსტრია-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15523 | შვედეთი-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15524 | უნგრეთი-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15525 | ინგლისი-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15526 | სლოვაკეთი-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15527 | შოტლანდია-სამ აფრიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15528 | ეკვადორი-ბოლივია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15529 | კოლუმბია-მექსიკა ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15530 | პარაგვაი-ვენესუელა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15531 | კოსტა რიკა-პერუ ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15536 | კრუზეირო-გოიასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15537 | ბოტაფოგო-კორინთიანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15538 | სან პაულო-ფიგუეირენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16459 | ბულგარეთი-უელსი | 1.11 | 5.70 |
| 16460 | ლატვია-მოლდოვა | 1.30 | 3.00 |
| 16461 | ბელორუსი-ისრაელი | 1.70 | 1.95 |
| 16462 | რუსეთი-პოლონეთი | 1.23 | 3.60 |
| 16466 | ბოსნია-ხორვატია | 2.10 | 1.60 |
| 16467 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.95 | 1.65 |
| 16469 | მაკედონია-ნიგერია | 2.90 | 1.32 |
| 16471 | ნორვეგია-არგენტინა | 2.90 | 1.32 |
| 16517 | დანია-ირლანდია | 1.24 | 3.60 |
| 16518 | ისლანდია-კანადა | 1.30 | 3.00 |
| 16519 | რუმინეთი-თურქეთი | 1.30 | 3.00 |
| 16520 | შვეიცარია-ჰოლანდია | 2.05 | 1.65 |
| 16521 | ავსტრია-ჩეხეთი | 2.40 | 1.45 |
| 16523 | შვედეთი-აშშ | 1.24 | 3.60 |
| 16524 | უნგრეთი-იტალია | 3.60 | 1.23 |
| 16525 | ინგლისი-გერმანია | 1.52 | 2.20 |
| 16526 | სლოვაკეთი-საფრანგეთი | 2.90 | 1.32 |
| 16527 | შოტლანდია-სამ აფრიკა | 1.12 | 4.60 |
| 16528 | ეკვადორი-ბოლივია | 1.14 | 4.70 |
| 16529 | კოლუმბია-მექსიკა ნ | 1.82 | 1.82 |
| 16530 | პარაგვაი-ვენესუელა | 1.14 | 4.70 |
| 16531 | კოსტა რიკა-პერუ ნ | 1.45 | 2.45 |
| 16536 | კრუზეირო-გოიასი | 1.17 | 4.10 |
| 16537 | ბოტაფოგო-კორინთიანსი | 1.23 | 3.60 |
| 16538 | სან პაულო-ფიგუეირენსე | 1.08 | 5.00 |

## [illegible]-1 [illegible]-2 (0:0 ითვლება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 17459 | ბულგარეთი-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17460 | ლატვია-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17461 | ბელორუსი-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17462 | რუსეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17466 | ბოსნია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17467 | საბერძნეთი-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17469 | მაკედონია-ნიგერია | 1.85 | 1.95 |
| 17471 | ნორვეგია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17517 | დანია-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17518 | ისლანდია-კანადა | 1.85 | 1.95 |
| 17519 | რუმინეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17520 | შვეიცარია-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17521 | ავსტრია-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17523 | შვედეთი-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17524 | უნგრეთი-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17525 | ინგლისი-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17526 | სლოვაკეთი-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17527 | შოტლანდია-სამ აფრიკა | 1.85 | 1.95 |
| 17528 | ეკვადორი-ბოლივია | 1.85 | 1.95 |
| 17529 | კოლუმბია-მექსიკა ნ | 1.85 | 1.95 |
| 17530 | პარაგვაი-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |
| 17531 | კოსტა რიკა-პერუ ნ | 1.85 | 1.95 |
| 17536 | კრუზეირო-გოიასი | 1.85 | 1.95 |
| 17537 | ბოტაფოგო-კორინთიანსი | 1.85 | 1.95 |
| 17538 | სან პაულო-ფიგუეირენსე | 1.85 | 1.95 |




# $H_2$ ქართველები მსოფლიოს თასზე წყალბადის ბომბს დადებენ

**გადაწყვეტილია**, რომ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრები ახალი დიზაინის მაისურებით ითამაშებს. აქამდე ჩვენმა „ლელოებმა" სამი ტექნიკური სპონსორი გამოიცვალეს, ახლა კი არჩევანი ფრანგულ ფირმა $H_2$-ზე შეაჩერეს. თავდაპირველი დიზაინი $H_2$-მა ჩვენებს ერთი თვის წინ რუმინეთში გამართულ მსოფლიოს ერთა თასზე შესთავაზა. ამის შემდეგ ნაკრების წევრებმა და ჩვენების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, პროფესიით მხატვარ-არქიტექტორმა პაატა ნარიმანაშვილმა თავიანთი კორექტივები შეიტანეს და მაისურას საბოლოო სახე მისცეს. სურათზე მაისურას ზურგზე ჩვენების სლოგანი „ქართული ენერგია" აწერია, მაგრამ მსოფლიოს თასზე „ლელოებს" ამ ადგილას თავიანთი გვარები ეწერებათ. საქომაგო მაისურებს კი სლოგანი დარჩებათ.

**ბაჩო სვანიძე**

# პლეიბოი ეროვნულ რაგბიში: ითამაშე და იკოტრიალე




ზურაბ დუგლაძე (მარცხნივ) ქართულ პლაჟრაგბის ერთ-ერთი თავკაცია

ბადრი კეთილაძის ფოტო

**ახლა**, ამ გაგანია ზაფხულში, პლაჟის სეზონი რომ არის და სპორტის სხვადასხვა სახეობებში საპლაჟო ტურნირებია, ქვიშას თავიანთ კვალს ქართველი მორაგბეებიც დაატყობენ.

აქამდე ჩვენ ოდენ პლაჟის ფრენბურთში გვყავდა წყვილები, ახლა კი საქართველოს ქვიშის რაგბის კავშირიც დაარსდა.

კავშირის დაარსება ყოფილმა ყოჩელმა კახა მხეიძემ და საქართველოს შვიდქალა ნაკრების მწვრთნელმა ზურაბ დუგლაძემ ითავეს. მხეიძე კავშირის გამგეობის თავმჯდომარე იქნება, დუგლაძე გენერალური მდივნობას გასწევს, ხოლო საპატიო პრეზიდენტად თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი მიიწვიეს.

ქვიშის, ანუ პლაჟის რაგბის კავშირმა საქმეს უკვე მოჰკიდა ხელი და 25-28 აგვისტოს ქობულეთში სანახაობრივ და საჩვენებელ პლაჟრაგბის გვპირდება. სახელდახელოდ მოწყობილ ტურნირზე ჯერ მასმედიელები ითამაშებენ. ტელეკომპანიები „რუსთავი 2", „მზე", „იმედი", „საზოგადოებრივი მაუწყებლობა" და ჟურნალი „პლეიბოი" ერთმანეთში პლაჟზე ირაგბებენ, იქამდე კი რაგბის კავშირის კუთვნილ „შევარდენის" სტადიონზე ივარჯიშებენ და წესებს ისწავლიან.

ცნობისთვის: პლაჟის რაგბის ხუთი-ხუთზე თამაშობენ და ერთობ სასეირო სანახაობაა. ამასთან ქობულეთშივე გაიმართება საჩვენებელი მატჩი საქართველოს შვიდქალა ნაკრებსა და „პლეიბოის" მოდელებს შორის.

„მართალია, ჩვენში ეს ახალი ხილია, მაგრამ მთელ მსოფლიოში საზაფხულო სეზონისას პლაჟის რაგბი ძალიან პოპულარულია, უკრაინაში რამდენიმე ევროპული ეტაპიც ტარდება. ჩვენც ვაპირებთ, ორსამ წელიწადში საერთაშორისო ტურნირები ჩავატაროთ. რაც მთავარია, პლაჟის რაგბიში პროფესიულ ნაკრებს გავაკეთებთ" — გვითხრა ზურაბ დუგლაძემ.

**ბაჩო სვანიძე**



ტურნირზე ზურა „შონზო" გიჩქილაძე და ნიკა „ღრუბი" რამიშვილიც ითამაშებენ

ბადრი კეთილაძის ფოტო

# მარკონე წვივზე გაწყდა




„ჩემი ოცნება დასამარდა. ახლა, ამ სიტყვებს რომ გეუბნებით, ყელში ბურთივით მაწვება და ცრემლებს ძლივს ვიკავებ. არადა, ოცნება ასე ახლოს იყო. დარწმუნებული ვარ, წლეულს საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, მაგრამ უჩემოდ... ამით ალბათ ჩემი სანაკრებო კარიერაც დასრულდა" — ძლივს ამოღერღა საფრანგეთის ნაკრების მორკინალმა სილვენ მარკონემ და საპრესკონფერენციო დარბაზს აცრემლებული გაეცალა.

31 წლის მარკონეს, ვისაც მოქმედი ფრანგი მორაგბეებიდან ნაკრებში ყველაზე მეტჯერ, 71-ჯერ უთამაშია, მარტში თხილამურობისას მარცხენა ფეხის წვივის ძვალი ჩაეფშვნა. იქიდან მოყოლებული, მარკონემ ორი ოპერაცია გაიკეთა, თითქოს ძვალიც გაუმთელდა, მაგრამ გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ მსოფლიოს თასზე ვერ ითამაშებს.

„სილვენი და ნაკრების ექიმი ტიერი ერმერელი პროფესიორ ფილიპ ლანდრუსთან იყვნენ. სწორედ ამ პროფესორმა გაუკეთა ორი ოპერაცია მარკონეს. ახლა კი მან კატეგორიულად მოითხოვა, რომ სილვენს რაც შეიძლება სწრაფად, მესამე ოპერაციაც გაუკეთდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი შანსია, დაინვალიდდეს. სხვა გამოსავალი აღარ მაქვს. მარკონე მსოფლიოს თასის განაცხადიდან ამოვშალე" — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა, რომელმაც ტრავმირებული მორაგბე ერთი თვის წინ ჩაწერა განაცხადში და სანამ ბოლოვადა არ ამოიწურა, იქამდე უნახავდა ადგილს.

ახლა კი მარკონეს ინგლისური „ბრისტოლის" შერკინების ბურჯი ნიკოლა მასი შეცვლის.

# გაეტანი გაიტანეს




**„სიკვდილის ჯგუფში"** მოხვედრილი არგენტინა მსოფლიოს თასს დიდი დანაკლისით იწყებს. წინა უქმეებზე უელსთან წაგებულ ტესტმატჩში „პუმების" ძირითადი შუამარბი მარტინ გაეტანი დაშავდა და როგორც რენტგენმა აჩვენა, ფრანგული „ბიარიცის" ცენტრს უსერიოზულესი ტრავმა აქვს.

„გაეტანს მკერდში არტერიის კედლის ბზარი დაუდგინდა. ის უელსის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში დარჩება და ერთკვირიან მკურნალობას გაივლის. მარტინს უკვე გაუკეთდა ოპერაცია, ახლა შედეგს ველოდებით. საშმობლოში ამის შემდეგღა დაბრუნდება. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მარტინს წლევანდელი მსოფლიოს თასი გაუცდება" — ეს არგენტინელთა ექიმ მარიო ლარანის კომენტარია.

მსოფლიოს თასი იქით იყოს და 29 წლის გაეტანს ევებ რაგბის თამაში საერთოდ აუკრძალონ, რაკი ტრავმის გამეორების შემთხვევაში, შეიძლება, მოედანზე დარჩეს. ამის ალბათობა დიდია.

რაც შეეხება მარტის გაეტანის შემცვლელს, იგი 33 წლის ვეტერანი შუამარბი ერნარ სენილისა იქნება, რომელმაც წინა მსოფლიოს თასზეც ირაგბა.

# ტულუზში ედინბურგს ყიდულობენ

**შოტლანდიური** „ედინბურგის" შუამარბი მარკუს დი როლო მომავალ საკლუბო სეზონს ფრანგულ „ტულუზში" დაიწყებს.

29 წლის დი როლო, ვინც არგენტინულ-ესპანურ ოჯახში გაიზარდა, მაგრამ შოტლანდიის მოქალაქეა, „ტულუზს" ორწლიან კონტრაქტზე მოურიგდა.

დი როლოს შოტლანდიის ნაკრებში 19-ჯერ უთამაშია და „ედინბურგში" კიდევ სამი სეზონი უნდა გაეტარებინა, მაგრამ ამ კლუბს შოტლანდიის რაგბის ასოციაციასთან კონფლიქტი აქვს, თან ფინანსურ კრიზისშია და ლიდერებს პირველივე სარფიან შეთავაზებაზე თმობს.

დი როლოს გარდა, „ტულუზს" „ედინბურგიდან" ავსტრალიის ნაკრების უნივერალი უკანახაზელის სტივენ ლარკემის ყიდვაც სურს. ლარკემმა, ვინც ამ მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერას დაასრულებს, „ედინბურგთან" ერთწლიანი კონტრაქტი ივნისში გააფორმა, თუმც დიდი შანსია, შოტლანდიური კლუბიდან ისე გადავიდეს „ტულუზში", რომ „ედინბურგში" ერთი მატჩიც არ ითამაშოს.

„ფრანგები სოლიდურ მიმზიდველ კონტრაქტს მთავაზობენ. თან „ედინბურგში" არეულობაა, მაგრამ რას ვიზამ ჯერ არ ვიცი, ახლა მთლიანად მსოფლიოს თასზე ვარ კონცენტრირებული" — განაცხადა ლარკემმა.

**ბაჩო სვანიძე**

# ჩიხლაძე მეოთხეზე წავიდა

**ზედიზედ** სამი ტურნირისა და 15 მატჩის მომგები ლადო ჩიხლაძე მიუნხენიდან მეორე გერმანულ ქალაქ ვალშტადში გადავიდა და იქაურ თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 15-ათასიან ტურნირზე შეეცდება წარმატებული სერიის გაგრძელებას.

იმის გამო, რომ ლადომ სულ ბოლო მომენტში გამოთქვა ვალშტადში თამაშის სურვილი, ის ამჯერად განთესილთა შორის არ არის და პირველ წრეში რეიტინგის 501-ე ნომერს, ავსტრალიელ კინტონ ტომსონს ხვდება. თუ ტომსონს მოუგებს, ქართველის შემდეგი მეტოქე გერმანელი იქნება — ან სებასტიან რიშიკი, არაც მატიას კოლბე.

ვალშტადში კაცთა და ქალთა ტურნირები პარალელურად ტარდება. ქალთა ნახევარში ქართველთაგან მანანა შაფაქიძეა და პირველ წრეში მე-6 ნომრად განთესილ გერმანელს, 20 წლისა და კლასიფიკაციაში 498-ე ადგილზე მყოფ ლაურა ჰაბერკორს ხვდება. თუ მეორე წრეში გავა, მაშინ შაფაქიძე ან კიდევ ერთ გერმანელ ლეონი ატანასიადისს დაუპირისპირდება, ანაც ავსტრიელ ჯესიკა შაერს.

კიდევ ერთი ჩვენებური სოფო შაფათავა კი ბოლო დროს რუსეთში თამაშობს. ერთი კვირის წინ მან პენზაში გამართული 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბარიერი დაძლია და ძირითად ბადეში შევიდა. სოფომ იგივე გააკეთა ახლაც, მოსკოვის თიხნარზე მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე. კვალიფიკაციის პირველ წრეში იტალიელ ალის ბალდუჩსთან 6:3 6:1 გამარჯვების შემდეგ ქართველმა ასევე იოლად — 6:3 6:2 სძლია რეიტინგში მასზე მაღლა, 526-ე ადგილზე მყოფ რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას და ეს საკმარისი აღმოჩნდა ძირითად ბადეში მოსახვედრად.


სოფო შაფათავა

ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში შაფათავამ 21 წლის ლატვიელ ირინა კუზმინას, ვისაც WTA-ს რეიტინგში 437-ე ადგილი უკავია, 6:4 6:3 მოუგო. სოფოს მეორე მეტოქე მეორე ნომრად განთესილი რუსი ანა ლაპუშენკოვაა, ვისთანაც ის პენზის ტურნირის პირველ წრეში დამარცხდა.

# ქართველები ამერიკაში

**ორშაბათს** ნიუ იორკში სეზონის ბოლო სლემტურნირი, ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა იწყება. ლაპარაკია ძირითად ტურნირზე, თორემ US open-ის საკვალიფიკაციო ეტაპმა „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე წუხელ აიღო სტარტი.

კვალიფიკანტთა შორის ორი ქართველიც არის — მაკა ჩახნაშვილი, ვინაც ეს უფლება რეიტინგის წყალობით მიიღო და ანა ტატიშვილი, ვისაც შეჯიბრის ორგანიზატორებმა „ვაილდ ქარდი“ მისცეს.

ჩვენებურთათვის ტურნირი ამაღამ დაიწყება. პირველ წრეში ჩახნაშვილი კლასიფიკაციის 189-ე ნომერს, 24 წლის იტალიელ ნატალი ვიერინის ხვდება და წარმატების შემთხვევაში, ან კვალიფიკანტთა შორის მე-9 ნომრად განთესილ ფრანგ იულია ფედოსოვას დაუპირისპირდება, ანაც ლუქსემბურგელ მენდი მინელას.

ტატიშვილის პირველი მეტოქე კვალიფიკანტთა მე-12 ნომერი, 25 წლისა და რეიტინგში 116-ე ადგილზე მყოფი არგენტინელი ხორკელინა კრაველოა. თუ კრაველოს მოუგებს, მეორე წრეში ანას მეტოქე რუს ეკატერინა ივანოვასა და ავსტრიელ კრისტინა ველერს შორის საუკეთესო იქნება.

# ამერიკამ რეიტინგები განთესა


ჟუსტინ ენინი

AFP

**წლის** უკანასკნელი სლემტურნირის, აშშ-ს ღია პირველობის ორგანიზატორებმა განთესილთა სიები გამოაქვეყნეს. იანკებს ხანგრძლივი ფიქრით არ შეუწუხებიათ თავი და განთესილებს ნომრები ATP-სა და WTA-ს მოქმედი რეიტინგების მიხედვით მიაკუთვნეს.

კაცთა შორის პირველი ნომერი, თავისთავად, ბოლო წლების უცვლელ პირველკაც როჯერ ფედერერს ერგო, რომელიც ზედიზედ მეოთხე ტიტულის მოსაპოვებლად ჩავა "ფლეშინგ მედოუზის" კორტებზე და თუ მოახერხა, მაშინ პირველი მჩოგნე იქნება 1920 წლის შემდეგ, ამას რომ მიაღწია.

მეორე ნომერი ფედერერის უცვლელ მოევარსა და მთავარ მეტოქე რაფაელ ნადალს ერგო. თუმც წლეულს ესპანელი ჯადო ბიჭი მეორეობას აღარ სჯერდება, სეზონის შუაწელიდან საჩემპიონო რბოლას მეთაურობს და არც ფედერერის განთესვის რეიტინგის სათავიდან ჩამოგდებას მოერიდება, ნიუ იორკში ტრიუმფი კი ამისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება.

მესამე ნომრობა ფედერერ-ნადალის მთავარ მეტოქე ნოვაკ ჯოკოვიჩისაა, რომელსაც ნიკოლაი დავიდენკო უდგას კვალში. 2003 წლის ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი ენდი როდიკი კი მეხუთეა, ვისაც განთესილებში მოხვედრილი კიდევ ერთი ამერიკელი, ჯეიმს ბლეიკი მოჰყვება. მხოლოდ მეთექვსმეტედ განთესეს ლეიტონ ჰიუიტი, მაგრამ ოზმა ბიჭმა ცინცინატიში ისე ითამაშა, რომ სავარაუდოდ, ყველას საქმით დაუმტკიცებს, აგრერიგად დაბალ ნომერს რომ არ იმსახურებდა.

ქალთა შორის კი პირველობა შარშანდელ ფინალისტ ჟუსტინ ენინს ერგო. პირველ ხუთეულში მის გარდა მხოლოდ რუსები და სერბები არიან — მეორე ნომრად მოქმედი ჩემპიონი მარია შარაპოვაა განთესილი, მეოთხედ 2004 წლის გამარჯვებული სვეტლანა კუზნეცოვა, მესამე და მეხუთე ნომრები კი შესაბამისად ელენა იანკოვიჩმა და ანა ივანოვიჩმა გაინაწილეს.

ქალგანთესილებში ორად ორი ამერიკელი მოხვდა, შავდა უილიამსები — სერენა მერვეა, ვინუსი კი მეთორმეტე.

მთლიანად განთესილთა სიები კი ასე გამოიყურება:

**კაცები**

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია), 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი), 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი), 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი), 5. ენდი როდიკი (აშშ), 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ), 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე), 8. ტომი რობრედო (ესპანეთი), 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი), 10. ტომი ჰაასი (გერმანია), 11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი), 12. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია), 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი), 14. გილერმო კანასი (არგენტინა), 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი), 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), 17. კარლოს მოია (ესპანეთი), 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი), 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი), 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა), 21. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი), 22. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი), 23. ხუან მონაკო (არგენტინა), 24. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა), 25. მარატ საფინი (რუსეთი), 26. იარკო ნიემინენი (ფინეთი), 27. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი), 28. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი), 29. ფილიპო ვოლანდრი (იტალია), 30. რობინ სოდერლინგი (შვედეთი), 31. პოტიტო სტარაჩე (იტალია), 32. იურგენ მელცერი (ავსტრია).

**ქალები**

1. ჟუსტინ ენინი (ბელგია), 2. მარია შარაპოვა (რუსეთი), 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი), 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი), 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი), 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი), 7. ნადია პეტროვა (რუსეთი), 8. სერენა უილიამსი (აშშ), 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი), 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი), 11. პატი შნიდერი (შვეიცარია), 12. ვინუს უილიამსი (აშშ), 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი), 14. ელენა დემენტიევა (რუსეთი), 15. დინარა საფინა (რუსეთი), 16. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), 17. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი), 18. შაჰარ პირი (ისრაელი), 19. სიბილ ბამერი (ავსტრია), 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი), 21. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა), 22. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია), 23. ტატიანა გარბინი (იტალია), 24. ფრანჩესკა შიავონე (იტალია), 25. მარა სანტანჯელო (იტალია), 26. სანია მირზა (ინდოეთი), 27. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი), 28. აი სუგიამა (იაპონია), 29. სამანტა სტოსური (ავსტრალია), 30. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი), 31. ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი), 32. მიქაელა კრაიჩეკი (პოლანდია).


ელენა დემენტიევა

# ნიუ-იორკისწინა ნიუ ჰევენი

**აშშ-ს** ღია პირველობისთვის შემორჩენილი უკანასკნელი, ეგრეთ წოდებული, გასახურებელი ტურნირი ამ კვირაში ნიუ ჰევენში იმართება. აქ ის მჩოგნეები თამაშობენ, რომლებიც თვლიან, რომ სასლემტურნიროდ ფორმის გაუმჯობესება სჭირდებათ. ჯერჯერობით მხოლოდ პირველი წრის შეხვედრები დასრულდა და მეორე წრისა დაიწყო. ამიტომ მოსაყოლიც ბევრი არაფერია, მაგრამ მეტ-ნაკლებად საინტერესო რაც იყო, იმას მოგახსენებთ.

აპრილის შემდეგ პირველი თამაში მოიგო ჰარდზე ტომი რობრედომ. სათიხნარო სეზონის მაჟორულ ნოტაზე დამთავრების შემდეგ, როცა სამიოდ კვირის წინ პოლონურ სოპოტში იჩემპიონა, პირინეელი საერთოდ ვერ გადმოერთო მაგარსაფარზე, რის გამოც წინა კვირებში ზედიზედ ორ მასტერსზე — მონრეალსა და ცინცინატიში — პირველ წრეში დამარცხდა. თუმც ამდენი მარცხი ტომის, ჩანს ყელში ამოუვიდა და ნიუ ჰევენში მაინც იხეირა, ორ სეტში დაამარცხა მარკ ჟიკელი.

მეორე წრის ბარიერი დაძლია მარდი ფიშმაც, რომელმაც საკმაოდ დაძაბულ ჯახში დასცა მე-7 ნომერი ფილიპო ვოლანდრი. პირველი სეტის ტაიბრეიკზე წაგების შემდეგ ამერიკელმა ყუმბარმტყორცნი აამუშავა და ამით გვარიანადაც იხეირა — თამაშის ბოლოს იანკის 18 ეისი მოუგროვდა. ფიშმა მეორე სეტის ბედი ბოლოსკენ გადაწყვიტა, დასკვნით პარტიაში კი იტალიელისგან ქვა ქვაზე აღარ დატოვა და გეიმიც არ დაუთმო. ფიშმა ზედიზედ ორი შეხვედრა თებერვლის შემდეგ პირველად მოიგო.

მეორე წრის კიდევ ერთი იღბლიანი კი იარკო ნიემინენი გახლავთ, რომელმაც სამ სეტში დაჯაბნა შარშანწინდელი ნახევარფინალისტი ფელიჩიანო ლოპესი.

ქალთა მატჩებიდან ელენა დემენტიევას გამარჯვება აღვნიშნოთ. რუსი ნიუ ჰევენში ზუსტად რობრედოს მაგვარი „მიღწევებით“ ჩავიდა, მანამდე ტორონტოსა და ლოს ანჯელესში პირველივე შეხვედრებში დამარცხდა. ლენამ ვერც აქ გაძლო თავგადასავლების გარეშე და მარა სანტანჯელოს მეორე სეტი აჩუქა, მაგრამ მერე გაბრაზდა და იტალიელი ნულზე გაყინა. დემენტიევას წინ მასპინძელი ეშლი ჰარკლროუდი ელის.

შეხვედრები მოიგო გუშინ კორტზე გასულმა კიდევ ორმა განთესილმა — სიბილ ბამერმა და ალიონა ბონდარენკომ. ავსტრიელმა ადგილობრივ მეგან შონესის შანსი არ დაუტოვა და ძალიან ადვილად დაამარცხა — 6:4 6:2, ბონდარენკოს კი ოდნავ გაუჭირდა ბელარუს ოლგა გოვორცოვასთან, განსაკუთრებით მეორე სეტში, სადაც ყველაფერი ტაიბრეიკმა გადაწყვიტა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა და მეორე წრეში სწორედ უკრაინელი გავიდა.

**ბახა ლომჯარიძე**

# ლორდი თუ პარლამენტარი?

## დღეს ოსაკაში ვიცეს იტყვიან



სებასტიან კოე

**შაბათს**, 25 აგვისტოს იაპონიის სიდიდით მეორე ქალაქ ოსაკაში მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი იწყება მძლეოსნობაში. მთელი სამძლეოსნო სამყარო იქით მიიჩქარის, ყველას იაპონიის ბილეთი უჭირავს ხელში. ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე, 22 აგვისტოს იქვე გაიმართება იააფ-ის (მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია) პრეზიდენტის არჩევნები.

კანდიდატი მხოლოდ ერთია — მოქმედი პრეზიდენტი, 74 წლის სენეგალელი ლამინ დიაკი, რომელიც 1993 წლიდან თავკაცობს ასოციაციას და ახლა ამბობს, რომ უკანასკნელი ვადით, ანუ 2011 წლამდე ერჩები პოსტზეო. ოსაკაშივე შედგება ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. 7 კანდიდატიდან 4 უნდა შეირჩეს. ამ შვიდიდან სამი მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ და, როგორც ჩანს, მათ დიაკის გვერდით საჯდომი ადგილები დაჯავშნული აქვთ. რჩება ერთი ვაკანტური სკამი, რომელში ჩაჯდომის სურვილსაც ოთხი პრეტენდენტი გამოთქვამს და მათ შორის წარსულის დიდი სპორტსმენები არიან — ბრიტანელი მორბენალი ლორდი სებასტიან კოე და უკრაინელი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა.

მას შემდეგ, რაც ბუბკამ მსოფლიოს დღემდე ხელშეუხებელი რეკორდი დაუტოვა, პოლიტიკაში გადაბარგდა და უკრაინის პარლამენტის დეპუტატიც იყო, ახლა კი იააფ-ში იყრის კენჭს და ფუნქციონერული მუშაობის გამოცდილების მქონეს თავისი ავტორიტეტის იმედი აქვს.

ავტორიტეტული კაცია სებასტიან კოეც. რომ არაფერი ვთქვათ 1980 წლის მოსკოვის და 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადებზე მოგებულ ტიტულებზე, ის ცხოვრებაშიც სახელიანი და გავლენიანი კაცია. ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრია და თან 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ერთ-ერთი ორგანიზატორიც, ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ სებასტიან კოე ვიცე-პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატია.

იააფ-ის კულისებიდან გამოვიდა ერთი ინფორმაციაც. იმ სამ მოქმედ ვიცე-პრეზიდენტს არ აქვს პრეტენზია, ლამინ დიაკის წასვლის შემდეგ მისი სკამი დაიკავოს, ასე რომ, მეოთხე, ანუ ახლა ასარჩევი ვიცე-პრეზიდენტი, ფაქტობრივად დიაკის მემკვიდრე ხდება და დიდი შანსი უჩნდება, 2011 წელს იააფ-ის ახალი პრეზიდენტი გახდეს.

ჩვენ კი დავურთავთ, რომ ამ უზარმაზარი ორგანიზაციის მმართველად ლორდ სებასტიან კოეზე უკეთესი კაცის წარმოდგენაც ძნელია. ახლა იგი 50 წლისაა და შეუძლია, 15-20 წელი მართოს მსოფლიოს მძლეოსნობა.

**კოტე ყორშია**

# ოლსონის გარეშე




**ლეგენდარული** ბრიტანელი სამხტომელის ჯონათან ედვარდსის წასვლის შემდეგ მის სამძლეოსნო დისციპლინაში ტახტი შვედ კრისტიან ოლსონს კი დარჩა და მან 2003 წელს პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო და ერთი წლის შემდეგ ათენის ოლიმპიადაც [illegible] გრამ მერე ტრავმებმა ისე აუწეწა კარიერა, რომ ამ ტახტზე [illegible]ბა დაიწყო და ოლსონსაც უჭირს ზედ თავის შეკავება. 2005 წელს, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე ტიტულის დაცვაში ხელი ფეხის ტრავმამ შეუშალა. და როგორც ირკვევა, ვერც ოსაკაში დაიბრუნებს მას. წლეულს რომში ოლსონმა ოქროს ლიგის ერთ-ერთ ეტაპზე თეძოს კუნთი გაიჭიმა და მას მერე რამდენიმე კვირა ცდილობდა ფორმაში ჩადგომას, მაგრამ ამაოდ.

ოლსონი არაა პირველი დიდვარსკვლავი, ვისაც ტრავმა და ჯანმრთელობის მდგომარეობა ოსაკაში არ უშვებს. 10 კილომეტრზე სირბილში ოთხგზის ჩემპიონმა, ეთიოპიელმა ჰაილე გებრსელასიემ 34 წლის ასაკში ასთმური შეტევების გახშირების გამო იუარა მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლა, ხოლო ბრიტანელმა სტაიერმა, ქალთა მარათონულ სირბილში რეკორდის მფლობელმა პოლა რედკლიფმა ამ ზამთარს შვილი გააჩინა და იგი ჯერაც არ გახლავთ საჩემპიონატო ფორმაში.

**კოტე ყორშია**

# ჭოკი როგორც შოკოლადი



**ამ გოგონას** ყველაფერი მოუგია, რისი მოგებაც ჭოკით შეიძლებოდა. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლის მოპოვების შემდეგ რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო — ათენის ოლიმპიადა, ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ჭერქვეშა მსოფლიო და ევროპირველობები, ათეულობით გრან პრი, ოქროს ლიგა... მოკლედ, ყველაფერი. 2005 წელს ჰელსინკში 5,01 მეტრზე გადახტა და სათვალავიც დაიკარგა, უკვე მერამდენედ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. 2005-ის ბოლოს წლის მძლეოსან ქალადაც დაასახელეს. ჰო, ესეც დავამატოთ, რომ ჰელსინკში 5,01 მეტრს რომ გადაევლო, ვერცხლის მედლის მომგებ პოლონელ მონიკა პირეკს, არც მეტი არც ნაკლები, 41 სანტიმეტრით აჯობა, ასეთი სხვაობა კი ათენის სულ პირველი ოლიმპიადიდან მოყოლებული, ჭოკოსანთა ისტორიას არ ახსოვს.

და განა გასაკვირია, რომ 25 წლის ასაკში ყველაფრის მქონე ლენას ასე ცალჭოკა ხტუნაობა მობეზრდა? აგერ წელსაც უკვე ოქროს ლიგის სამივე ეტაპი მოიგო, დანარჩენ სამსაც მოიგებს და კიდევ რამდენიმე ოქროს ზოდსაც შემოდებს ათეულობით პრიზის გვერდით. ეჭვიც კი არავის ეპარება, რომ ოსაკაშიც გაიმარჯვებს.

მაგრამ აქ საუბარი მის მოტივაციას ეხება. „ბოლო ორი, შესაძლოა სამი წელი, მე საკუთარ თავს ვეჯიბრები — ამბობს ისინბაევა — რა თქმა უნდა, მიყვარს მოგება, არ არსებობს სპორტსმენი, რომელსაც გამარჯვება არ უნდოდეს, მაგრამ როცა ყოველთვის იგებ, მადას კარგავ. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს შოკოლადის მოყვარულის მდგომარეობას, რომელიც ყოველდღე ჭამს ნუგბარს, ბოლოს კი აღმოაჩენს, რომ შოკოლადი შეზიზღდა".

წლეულს ისინბაევას შედარებით რეალური მეტოქე გამოუჩნდა. ამერიკელი ჯენიფერ სტუჩინსკი საკმაოდ დამაჯერებლად ფლობს ჭოკს — ის ჯერ 4,84 მეტრს გადაევლო წლეულს მაისში, რითაც ამერიკული ჭოკის პიონერ სტეისი დრაგილას აჯობა, შემდეგ კი 4,88 მეტრიც დაძლია. ეს უკვე მართლაც სოლიდური სიმაღლეა და ამხელაზე ისინბაევას გარდა მხოლოდ სვეტლანა ფეოფანოვა გადამხტარა, კიდევ ერთი რუსი ჭოკით მხტომელი, რომელიც ისინბაევას გამოჩენამდე დედოფლობდა და მსოფლიოს რეკორდსაც ფლობდა.

„4,88 მეტრი გადასარევი შედეგია — ამბობს ისინბაევა — სწორად გამიგეთ, არავის ვეპირფერები, მაგრამ ეს შედეგი ჩემთვისაც კი კარგია. ჯენიფერი ისეთი მიზანდასახულია, რომ მეც მმატებს მოტივაციას, რომ სპორტულად გავბრაზდე და სპორტული შიმშილი ვიგრძნო. კარგად ხტომისთვის მე ყოველთვის მჭირდებოდა ძლიერი მეტოქე: თავიდან ეს სვეტა იყო, ახლა კი მიხარია, რომ ჯენი გამოჩნდა, და განა ეს მაყურებლისთვის ცუდია"?

შემდეგ კი ისინბაევა თავის სამომავლო გეგმებსაც შეეხო. თუ ყველაფერი კარგად იქნება, დღევანდელი გადასახედიდან დაახლოებით 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადამდე მინდა აქტიურ სპორტში ვიყოო — „მერე კი ბავშვებს ვასწავლი იმ საქმეს, რომელშიც მე რაღაცას მივაღწიე".

**კოტე ყორშია**

# დიდი ჩინეთის ერთი ლიუ




**ოსაკას** მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რაზმი შეკრიბეს ჩინელებმაც. ისინი ნამდვილად არ განთქმულან მძლეოსნობაში. მაგრამ რაკი მომავალ წელს პეკინში ოლიმპიადას მასპინძლობენ, გამოცდილების გასაღრმავებელი შემადგენლობით დავგიშვითო, ასე ითხოვეს. 60 კაცი ძალიან ბევრია ასეთი არასამძლეოსნო ქვეყნისთვის. ეს ძალიან ჰგავს თანამედროვე წვრილმანი ჩინური ნაწარმის რაოდენობასა და ხარისხს შორის შეფარდებას. 60 სპორტსმენიდან მხოლოდ ერთს აქვს ოქროს მოგების რეალური შანსი და ეს ჩვენი ვარაუდი კი არ არის, ჩინეთის გუნდის მთავარმა მწვრთნელ-ორგანიზატორმა სუნ ჰაიპინმა თქვა.

2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ჩინეთმა მხოლოდ ორი ოქრო მოიგო მძლეოსნობაში — 110 მეტრზე თარჯრბენში იყოჩაღა ლიუ სიანმა, ხოლო ქალთა 10 კილომეტრზე სირბილი მოულოდნელად ქსინ ჰუინამ მოიგო. ეს უკანასკნელი ახლა ტრავმირებულია და ოსაკაში ვერ მიდის. რაკი ახლადამობრწყინებული ვარსკვლავი არ ჰყავთ, ჩინელები მეზობელ იაპონიაში ამხელა რაზმით მხოლოდ ლიუ სიანის იმედით მიდიან. სუნ ჰაიპინი ამბობს, იმედი მაქვს, ოსაკაში ჩვენი სპორტსმენების სულ ცოტა 35 პროცენტი მაინც აჩვენებს პირად რეკორდსო.

ჩინელები ლიუს სპორტულ ფორმასაც ჩაუფიქრებია — მიკროტრავმების გამო ჩინელთა უძლიერესი სპორტსმენს არცთუ დამაკმაყოფილებელი სეზონი აქვს. შარშან მან ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როდესაც ლოზანას გრან პრიზე 12,88-წამიანი სუპერშედეგი აჩვენა, მაგრამ წლეულს ის მხოლოდ ერთხელ ჩამოსცდა 13-წამიან ზღვარს, როდესაც ივნისში ნიუ იორკში მძლავრ ზურგქარში 12,95 შედეგი აჩვენა. ეს დრო ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ის უპრობლემოდ მოუტანს ჩინეთის დელეგაციას იმ ერთადერთ ოქროს, რომელსაც მილიარდნახევრიანი ერის ყველაზე სწრაფი ნაწილი ასე მოუთმენლად ელის.

„სადღეისოდ ლიუ 80 პროცენტს აჩვენებს — ამბობს სუნ ჰაიპინი — მისი შედეგები 13,10 წამის ფარგლებში მერყეობს და თუ გვინდა, რომ ოქრო აუცილებლად მან მოიგოს, ლიუ 13 წამს უნდა ჩამოსცდეს".

**კოტე ყორშია**


გაჟარი ქოთოლაძის ფოტო

**ორწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს მოკრივეთა ნაკრები თენგიზ მესხაძემ ჩაიბარა. მან ავთანდილ შოშიაშვილი შეცვალა, რომელმაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. სეზონის უმთავრეს ტურნირამდე, მსოფლიოს ჩემპიონატამდე, ორ თვეზე ნაკლები რჩება. მესხაძემ ეროვნული გუნდი გუშინწინ შეკრიბა და გლდანის დარბაზში ავარჯიშებს. მსოფლიოსთვის მოსამზადებელ ციკლზე და საკრივო სიახლეებზე ნაკრების თავკაცს გუშინ ვესაუბრეთ**

# რინგი და გლობალიზაცია

## მესხაძე შოშიაშვილის დაწყებულს გააგრძელებს

**— ელოდით, გუნდის გაწვრთნას ისევ თუ შემოგთავაზებდნენ?**

— ეს ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო. მას შემდეგ, რაც ნაკრებს ჩამოვცილდი, ქუთაისის საკრივო სკოლა ჩამაბარეს და იქ ვმუშაობდი. თანამდებობა სამართლიანად დამატოვებინეს თუ უსამართლოდ, ყოველგვარი წყენა დავივიწყე და იმ საქმეს შევეჭიდე, რომლითაც ქართულ სპორტს მაინც დავეხმარებოდი. ქუთაისში ერთ დროს კრივი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჰოდა, გადავწყვიტეთ, ბავშვები ისევ მოგვეზიდა. თითქმის ჩამკვდარი საქმე თავიდან ამოძრავდა და სამასამდე ბავშვმა დაიწყო ვარჯიში.

**— ნაკრების თავკაცობა ვინ შემოგთავაზათ?**

— ფედერაციიდან დამირეკეს. იქამდე კი თავად ავთანდილ შოშიაშვილიც მელაპარაკა. მითხრა, ავადმყოფობის გამო, შეიძლება, წავიდე ნაკრების მწვრთნელობიდან და, ჩემი აზრით, გუნდი შენ უნდა გადაიბაროო. ვუპასუხე, თუ დამიძახებენ, სანამ დავთანხმდები, ჩემს პირობებს წარვადგენ-მეთქი.

**— და რა მოითხოვეთ, თუ საიდუმლო არ არის?**

— კრივის გლობალიზაცია. როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ ეს სახეობა რამდენიმე ქალაქში კი არა, ყველგან პოპულარული გახდეს. ჩატარდეს კადეტებისა და ახალგაზრდების რეგიონული ჩემპიონატები...

**— ნაკრების წევრებს როდის შეხვდით?**

— რამდენიმე დღის წინ ვისაუბრეთ. მხარდაჭერას ბიჭების მხრიდანაც ვგრძნობ. შეკრული გუნდია და საერთოდაც, საკრივო სამყაროში არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. უკვე მეორე დღეა, ნაკრებთან ერთად ვარ გლდანის შეკრებაზე. აქ კიდევ ათი დღე დავრჩებით. სექტემბრის პირველ რიცხვებში კი ერევანში გავემგზავრებით საერთაშორისო ტურნირზე.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის შემადგენლობა უკვე გამოკვეთილი იყო. თქვენი მოსვლის შემდეგ ეს სია ხომ არ შეიცვლება?**

— ავთანდილ შოშიაშვილის ხელში გუნდმა ლამის მთელი მოსამზადებელი ციკლი გაიარა. ამიტომ მის წამოწყებულ საქმეს გავაგრძელებ. სპორტსმენთა სიაც იგივე დარჩება.

**— გლდანური შეკრების და ერევნის ტურნირის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატამდე რა გეგმები გაქვთ?**

— კიდევ ორ შეკრებას გავივლით. პირველი საერთო ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა, სავარაუდოდ, ან სომხურ წახკაძორში, ანაც ბაკურიანში. დასკვნითი შეკრება კი ბორჯომში, სასტუმრო „ოლიმპში" გვექნება. მსოფლიოს ჩემპიონატი 16 ოქტომბერს დაიწყება. ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთი დღით ადრე გავემგზავრებით.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

## ჭიდაობა

# პეკინური ოთხში ნული

**ბერძნულ-რომაული** სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყო. პეკინის ხალიჩაზე ვლადიმერ ადეიშვილის რვა შეგირდიდან გუშინ ოთხი გავიდა და მედლამდე ვერც ერთმა ვერ მიაღწია. ამათგან სამმა პირველსავე წრეში წააგო.

რევაზ ლაშხმა (60კგ), ბექა როყვამ (74კგ) და გენადი ხელიამ (96კგ) ტურნირი მარცხიანად დაიწყეს და რახან მერე მათმა მძლეველებმაც წაიფორხილეს, ბრინჯაოს შანსიც დაიკარგა.

გიორგი გოგბერაშვილმა (50კგ) ჩემპიონატი უკრაინელი დენის ზადაჩინის ძლევით გახსნა, მერე კი აზერბაიჯანელმა გადირ სულეიმანოვმა შეაჩერა. ეს უკანასკნელი ფინალში გავიდა და ჩვენებური რეპეშაჟში გადაერთო, სადაც ყაზახ ჟანგელდი აზკენოვს კი გასცდა, მაგრამ შემდეგ რუს ვასილი ტოპევთან გამარცხდა.

დარჩენილი ოთხი წონა დღეს ჩაჭიდავდება. საქართველოს სახელით გიორგი ედიშერაშვილი (55კგ), გურამ კეერლელიძე (66კგ), სერგო ნინუა (84კგ) და დიმიტრი ჯავახიშვილი (120კგ) გამოვლენ.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

## ველორბოლა

# ასტანურ-სატანური

**უშუალოდ** ნურსულთან ნაზარბაევის ხელდასმით, ყაზახებმა თავიანთი ტოპ-მრბოლების — ალექსანდრ ვინოკუროვისა და ანდრეი კაშეჩკინის ხათრით უზარმაზარი ფული ჩადეს ველოგუნდ „ასტანაში".

შარშან ზაფხულში დაშლილი ესპანური „ლიბერტი სეგუროსის მთელი შემადგენლობა „ვინოსა" და კაშას" თამადობით ხომ გასატანეს, სუპერმრბოლები — გერმანელი ანდრეას კლოდენი და იტალიელი პაოლო სავოლდელი დაიმატეს და გერმანული „T-მობაილიდან", თითქმის მთელი მმართველი შტაბი გადაიბირეს.

„ასტანას" შვეიცარიაში დარეგისტრირდა, მაგრამ ფული ყაზახური იყო და მთელი მსოფლიო ამ გუნდს ყაზახურად იცნობს. ყაზახები კი პოსტსაბჭოთა სივრცის და ძველი საბჭოური სისტემის შვილები არიან და იმ, ნაცადი საბჭოური მეთოდებით ცდილობენ ფონს გასვლას.


ანდრეას კლოდენი

ვერ გავიდნენ — „ტურ დე ფრანსამდე" გუნდის გერმანელი მრბოლი მატიას კესლერი ჩავარდა დოპინგზე, „ტურზე" იგივე ასტანელთა იმედს, ალექსანდრ ვინოკუროვს დაემართა და „ტურის" შემდეგ კი ანდრეი კაშეჩკინიც გაება მახეში.

ყაზახური სუპერპროექტი ჩაფლავდა. სეზონის მესამე და ბოლო სუპერრბოლის, ესპანური „ვუელტას" ორგანიზატორებმა ყაზახური გუნდისთვის გაგზავნილი მიწვევა უკან წაიღეს, დოპინგის მოყვარული ხალხი არ გვჭირდებაო. თანაც, „ვინოსა" და კაშას ორ-ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ და მათ არყოფნაში გუნდის ლიდერად დარჩენილმა კლოდენმაც განაცხადა, ამ სისხლიანი დოპინგის მოყვარულებთან რა მინდაო.

მოკლედ, აირია ასტანურ-სატანური მონასტერი, მაგრამ ფული ჯოჯოხეთის ანათებსო, ნათქვამია და ყაზახებს ფული ნამდვილად არ აკლიათ.

ტონი რომინგერმა, დიდმა შვეიცარიელმა მრბოლმა, „ვუელტას" 1992-94 წლებში ზედიზედ სამჯერ და 1995 წელს „ჯიროს" მომგებმა კაცმა, ვინაც ამჟამად კლოდენის მენეჯერია, ამას წინათ განაცხადა, ანდრეას, „ასტანადან" წასვლა უნდა და იქ გადასვლას ცხოვრების შეცდომად თვლისო. ახლა კლოდენი სხვენაირად ლაპარაკობს: „ორწლიანი კონტრაქტი მაქვს „ასტანასთან", რომელიც 2008 წლის ბოლომდეა ძალაში. მიუხედავად გუნდის ბუნდოვანი მომავლისა, კონტრაქტის დარღვევას არ ვაპირებ და მოვიცდი, სანამ სურათი ნათელი არ გახდება".

თუ რატომ გადაატრიალა „პლასტინკა" გერმანელმა, ალბათ გასაგები უნდა იყოს. ამასობაში „ვუელტას" გარეთ დარჩენილი ყაზახები ლობე-ყორეს ედებიან, თავიანთი არსებობის გამართლებას ცდილობენ და გუნდი 2 სექტემბერს დასაწყებ მესამეხარისხოვან ფრანგულ რბოლაში „გრან პრი უეს დე ფრანს პლუეში" მიიღებს მონაწილეობას.

თანაც, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ აღიარებული ლაბორატორიების მიერ დამნაშავეებად ცნობილებმა, ვინოკუროვმა და კაშეჩკინმა, ყაზახთა და რუსთა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელ ექსპერტებს მიმართეს და ამ „დამოუკიდებლებმაც", რომელ სისხლის გადასხმაზეა ლაპარაკი, ბიჭები თოთო ბავშვებივით სუფთები არიანო.

რუს-ყაზახთა სამწუხაროდ, ხსენებული „დამოუკიდებლების" აზრს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოში არ იზიარებენ და „ასტანას" ლიდერებს, მინიმუმ ორ-ორწლიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდებათ.

კლოდენსაც, თუ ჭკუა აქვს, ის ურჩობს, ზედმეტ ტუცრიკებს შეეშვას და სუფთა გზა მოძებნოს.

## ავტორბოლა

# ბევრად მეტს ველით!

**ზაფხული** ფორმულა 1-შიც ისეთი პერიოდია, როცა გუნდებში წამსვლელ-მიმსვლელ მრბოლთა ამბები ირკვევა. გუშინ თავის საგაისო შემადგენლობაზე განაცხადა გერმანულ-შვეიცარიულმა საჯინიბო „BMW-ზაუბერმა". ეს გუნდი წლეულს დიდი წარმატებით გამოდის — კონსტრუქტორთა თასზე ფრიად საპატიო, მესამე ადგილზეა გიგანტების, „მაკლარენ-მერსედესისა" და „ფერარის" შემდეგ, გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი და პოლონელი რობერტ კუბიცა პირადულშიც ძალიან ყოჩაღობენ, გენერალურ კლასიფიკაციაში, შესაბამისად მეხუთე და მეექვსე პოზიციებზე დგანან.

ჰოდა, რა გასაკვირია, თუკი ბავარიელებმა საგაისოდ შემადგენლობა უცვლელად დატოვეს უფრო მაღალი შედეგების იმედით.

„BMW-ზაუბერის" სპორტული დირექტორი მარიო ტაისენი: „ნიკმაც და რობერტმაც წარმატებული გამოსვლით გადამწყვეტი როლი შეასრულეს იმაში, რომ ჩვენი გუნდი სადღეისოდ მყარად დგას ჩემპიონატში მესამე პოზიციაზე. ნიკის აქტივში 42 ქულა და ორი პოდიუმია და ამით ყველაფერია ნათქვამი. რობერტისთვის 2007 წელი ავტოსპორტის პრემიერლიგაში პირველი სრული სეზონია. თავის მოკლე კარიერაში მან თავი უკვე დაიმკვიდრა, როგორც სწრაფმა და ნიჭიერმა მრბოლმა, ყველაფერში ჰაიდფელდის თანასწორმა. რობერტი ჯერ დაუხვეწავი ალმასია და გვინდა, მისგან გამარჯვებული გამოვიყვანოთ. ასეთი დონის პილოტთა შემადგენლობით გუნდის პოზიციები ძალიან ძლიერია."


ნიკ ჰაიდფელდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალთა ბუნდესნაკრები

გერმანიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრები აი, ამ სტილის საპრომოუშენო სურათებით შეახსენებს თავს გერმანელებს. გაისად ჩინეთში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, გერმანელები კი უმაღლესი ჯილდოსთვის იბრძოლებენ.



# კუდი ბუდაპეშტის თავზე

ეს „რედ ბულის" საფრენოსნო სერიების ერთ-ერთი ეტაპია. ულამაზესი ბუდაპეშტი და ულამაზესი აერასკალი მის თავზე. უწვერული პილოტი მეტერ ბესენეი შეკრებილ ხალხს თავისი საფრენის კუდით აღაფრთოვანებს.



# ხუთი თაობა

50 წელიწადია, რაც სერფინგმა ევროპის კარს მოუკაკუნა. სულ მალე სამხრეთ საფრანგეთში „სუპერსერია" გაიმართება და იქვე ილებენ კლიპს, რომელშიც ხუთი თაობის მოსერფეები მონაწილეობენ. სულ თავში თინეიჯერი მარკო ნიკოლესკუ დგას, სულ ბოლოში კი — 1962 წლის ევროპის ჩემპიონი პიერ ლაარჟი.

# გაუმარჯოს პეკინს!

ეს პეკინია, ოღონდ საოლიმპიადო ტესტი არ გეგონოთ. გაისად ჩინეთში გასამართ ოლიმპიურ თამაშებს არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებიც მიესალმებიან.





# მარტოხელა ჩემპიონი

ამ შკიპერმა, მიშელ დერიუმ, მოიგო მარტოხელა რეისი „სოლიტარ დუ ფიგარო". შეჯიბრში 49 შკიპერი მონაწილეობდა და ის 38-ედ გაიმართა საფრანგეთის, ირლანდიის ადა ესპანეთში წყლებში.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge